პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სამშაბათი
30 დეკემბერი
№ 299 (17941)
ფასი 2 კაპ.

არის ხუთწლედი!

რესპუბლიკის მრეწველობის პატაკი

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების 1980 წლის გეგმა.

ხუთწლედისა და მიმდინარე წლის დავალებათა ვადამდე შესრულება მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის, დამატებითი რეზერვების გამოვლენისა და გამოყენების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის შედეგია.

ქალაქ თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მიმდინარე, 1980 წლის გეგმა. (საქინფორმი).



მეგობრული ეგზამენი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტმა — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ საქართველოს სოფლის მშრომელებს სერიოზული ამოცანები დაუსახა.

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა 22-24 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის და ისწრაფვიან მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს.

მცხეთის რაიონის ძალისის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები შეუდგნენ ყველა სახეობის ბოსტნეული კულტურების თესვას, რომლებსაც მეურნეობაში 330 ჰექტარი დეთმობა.

სურათებზე: ბოსტნეულის მექანიზებული თესვა ძალისის საბჭოთა მეურნეობაში. საყრილობო ვაზტის მეწინავე მექანიზატორი ა. ტოგუზაშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წლის უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ ობიექტებზე

მშვენდება

მაღაროელთა მხარე

გარემო ბუნების დაცვა-აღდგენას, ქართველ მაღაროელთა ქალაქის ჰიათორისა და მისი შემოგარენის გარდასახვას შესაძლებელს გახდის საშენდ ნაგებობათა უდიდესი კომპლექსი, რომლის პირველი რიგი 29 დეკემბერს გადაეცა საექსპლოატაციოდ. მთაში ციცაბოდ აღმავალი რვა მილსადენისაგან შემდგარი სამ კილომეტრზე მეტი სიგრძის ტრასით სატუმბმა დანადგარებმა დაიწყეს სამთამადნო კომბინატ „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოთა ჩამდინარი წყლების გადაგდება საფლოტაციო ფაბრიკიდან პატარა დაბა გურგუმელაში. ჩამდინარე წყალი გროვდება ზელენურ სალექარში, რომლის ტევადობა 20 მილიონამდე კუბური მეტრია. მინარეულებისაგან გაწმენდილი წყალი გვიანამდე ჩაედინება მდინარე ყვირილაში. ისევ ლამაზი და კამკამა გახდება საქართველოს ეს წყლის არტერია, გამდიდრდება მისი ტყიანი ხეობა.

რეალურად იქცევა ჭიათურელ მაღაროელთა მრავალი თაობის ოცნება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის წყალობით ეს დიდმნიშვნელოვანი ანალმშენებლობა შედარებით მოკლე ვადაში განხორციელდა. კომპლექსის პირველი რიგის ობიექტების ასაგებად შრომობდა ასობით მუშა — „ჭიათურმანგანუმმშენის“ კოლექტივის, ათობით საიჯარო ორგანიზაციის წარმომადგენლები. რთული ტრასით 50 მძლავრმა სატვირთო ავტომანქანამ მთაში გადაიტანა დაახლოებით 14 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები, 600 ათასი ტონა ქვარცის ქვიშა. აქ გაყვანილია 12 კილომეტრი საერთო სიგრძის მილსადენები, ორკილომეტრიანი გვირაბი სალექარიდან წყლის გადასაგდებად.

მეთერთმეტე ხუთწლედში საწმენდ კომპლექსში მწყობრში ჩადგება ახალი სამმლავრები, რაც შესაძლებელს გახდის წყლის გაწმენდის ციკლის დამთავრებას. დაინერგება ტენის ბიოლოგიური აღდგენის პროგრესული მეთოდი. იმის მეშვეობით, რომ სალექარში წლის განმავლობაში თითქმის მილიონი ტონა ნარჩენები დაილექება, ქვეყნის მეტალურგებს გაუდიდდებათ მანგანუმის მიწოდება, პირველად ჭიათურის მანგანუმის საბადოს ას წელზე მეტი ხნის ექსპლოატაციის მანძილზე უკვირილა რიონს ანკარა ტალღებს შეუერთებს. საქართველო თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შავი და ოზოვის ზღვების აუზში წყალდამცავი ნაგებობების მშენებლობის დაჩქარების ამოცანათა გადაწყვეტაში, რაც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით პარტიის XXVI ყრილობისათვის.

ჭიათურის საწმენდი კომპლექსის პირველი რიგის ამოქმედების ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარაიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. ინაური.

შუადღეზე მთაში, წყალსაცავის კაშხალთან, გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. პ. ხოფერიამ. სიტყვები წარმოთქვეს „ჭიათურმანგანუმმშენის“ № 8 ტრესტის მთავარმა ინჟინერმა გ. გ. კაპანაძემ, ლენინის ორდენოსანი „ჭიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის დირექტორმა მ. პ. აფაქიძემ, მშენებელთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ფ. ჭურკაკიძემ და სხვებმა.

მიტინგზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. იგი მიესალმა კომპლექსის მშენებლებს და აღნიშნა, როგორ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უდიდეს ობიექტს არა მარტო ქალაქ ჭიათურის, არამედ მთელი რესპუბლიკის გარემოს დაცვისათვის.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ჭიათურელ მშრომელებს მიულოცა მომავალი ახალი წელი, უსურვა მათ შემდგომი წარმატებები სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

ამავე დღეს ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. პატარაიძე და ა. ნ. ინაური ეწვივნენ ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, სადაც უახლოეს დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მესამე აგრეგატი.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ესაუბრა მუშებსა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს, გამოიკითხა მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. მან ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს მიულოცა მომავალი ახალი წელი, უსურვა წარმატებები ცხოვრებასა და შრომაში.

ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. პატარაიძე და ა. ნ. ინაური ეწვივნენ ზესტაფონის ქარხანას, სადაც ბოლო ხანს ბევრი რამ კეთდება. მთელი საწარმოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ზორციელდება სეროიზული ღონისძიებანი წარმოების მავნე გამონაბოლქვებისაგან გარემოს დაცვისათვის, რომლებიც წლების მანძილზე აბუჭყიანებდა ქალაქისა და ახლომდებარე სოფლების ატმოსფეროს.

ამხანაგებმა ე. ა. შევარდნაძემ, ზ. ა. პატარაიძემ და ა. ნ. ინაურმა დაათვალიერეს ქარხნის ტერიტორია, იყვნენ მის საამქროებში, გაეცნენ იმ ღუმელის რეკონსტრუქციის მიმდინარეობას, რომლის ამოქმედება 30 დეკემბრისათვის არის განზრახული.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე განსაკუთრებით დაინტერესდა საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებით, იყო კვების ობიექტებზე, ქარხანაში შეიქმნა ორი ლაბორატორია წყალსაცავი. [illegible] არტეზიული ჭაბურღილები.

ქარხანას ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე [illegible] ჩარქია.

მწყობრშია ახალი საქსოჟი ფაბრიკა

ახალციხის მთიან რაიონში სახეიმო ვითარებაში გადაეცა საექსპლოატაციოდ ახალი საქსოვი ფაბრიკა — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების ფილიალი. შესრულდა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სს რესპუბლიკის მთის რაიონებში დიდ საძრეწველო საწარმოთა ფილიალების მშენებლობას. რაიონში, სადაც ჭარბად არის შრომითი რესურსები, შეიქმნა ასობით ახალი სამუშაო ადგილი, სადაც ძირითადად ქალები იმუშავებენ. დიდმწარმოებლური მოწყობილობა, ჰაერის კონდიციერების ერთიანი სისტემა, მცირე ხმაური, რაც მიღწეულია ორიგინალური საშენი კონსტრუქციების გამოყენებით, ყველა პირობას ქმნის ეფექტიანი შრომისათვის, მნიშვნელოვნად ამსუბუქებს მას.

ფაბრიკის მშენებლობაზე თავი გამოიჩინა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გორის № 9 ტრესტის № 21 მოძრავმა მექანიზებულმა კოლონამ.

ახალი საწარმოს ამოქმედებასთან დაკავშირებით გაიმართა ახალციხე მიტინგი. იგი გახსნა ქ. ახალციხის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. საჯაია. მიტინგზე გამოვიდნენ № 21 მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი ა. მურადიანი, ფაბრიკის დირექტორი ვ. მარსაგიშვილი, მჭსოველი ნ. ხუციშვილი და სხვები.

ფაბრიკის მშენებლებსა და მის ახალგაზრდა კოლექტივს გულითადად მიულოცა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გ. გამცემლიძემ.

მიტინგს დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა.

ვითარდება სამხრეთ ოსეთის ეკონომიკა

ზონაარის წყალსაცავი, ხეტიყის კომბინატის დიდი ავეჯის საამქრო, რვაასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის გათვალისწინებული მერძევეობის კომპლექსი ზნაურის რაიონში — ასეთია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ მშენებლობათა არასრული სია.

ზონკარის წყალსაცავი — მდინარე პატარა ლიახვზე აშენებული უნიკალური ჰიდროტექნიკური ნაგებობა — დამატებით მორწყავს 18 ათას ჰექტარ გვალვიან მიწას, გარანტირებული მოწამოქმედების ზონად გადაიქცევს მას.

ამ მშენებლობებს ეწვია საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სახაკოევი. (საქინფორმი).

ავამაღლოთ თბილისის კომუნისტთა ავანგარდული როლი!

ამხანაგებო!

დღეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში მთავრდება საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც, მოგეხსენებათ, ყოველთვის პასუხსაგები ხანაა პარტიის ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდია ამ ხანის მნიშვნელობა ყრილობისწინა პერიოდში.

სწორედ ასეთი, განსაკუთრებით პასუხსაგები გახლავთ ახლანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინ მიმდინარეობდა. და, ტრადიციისამებრ, ანგარიშგება-არჩევნებს ჩვენში თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენცია ამთავრებს. ჩვენ ვიცით, რომ დღეს აფხაზეთშიც მაღალ დონეზე მიმდინარეობს საოლქო პარტიული კონფერენცია. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს შევაჯამოთ ამ უმნიშვნელოვანესი პარტიულ-პოლიტიკური კამპანიის საერთო შედეგი.

მისი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის გახლავთ, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისისა და ოქტომბრის პლენუმებმა მოითხოვეს, — საქმიანად, მწვავედ და თვითკრიტიკულად განვიხილეთ პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის ყველა მხარე, ვაბილეთ ხარვეზები და ნაკლოვანებანი, მხარი დავუჭირეთ ყოველივე დადებითს.

მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, რომელმაც დადგენილება მიიღო სკკპ XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ და დასაბამი მისცა ახლანდელ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ეს კამპანია გვავალებს კიდევ და კიდევ ყოველმხრივ გავაანალიზოთ მუშაობა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

და ასეთი ანალიზი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში გამართულ პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე მოეწყო. ეს ანალიზი ეხებოდა საქმიანობის ყველა მხარეს, მუშაობის ყველა მხარეს — ეკონომიკურს, პოლიტიკურს, ორგანიზაციულსა და იდეოლოგიურს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთი ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიც არის მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება, წარმოების რეზერვების გამოვლენა და ყველაზე სრული გამოყენება, სამრეწველო საწარმოთა მომზადება მეურნეობრობის ახალ სისტემაზე გადასასვლელად, მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების განხილვა, პარტიული კომიტეტების მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს კომუნისტთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციისადმი კონტროლის სისტემის დახვეწა, დემოკრატიული საწყისების გაღრმავება კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში, კომპლექსური მიდგომის განხორციელება მშრომელთა საქმიანობის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მიმდინარე წლის ივნისში გამართულ პლენუმზე ითქვა, რომ განვლილი წლების მანძილზე პარტიამ კომუნისტური მშენებლობის შესანიშნავი გამოცდილება შეიძინა და ახლა **საჭიროა უდიდესი ყურადღებით მოვეკიდოთ ყოველივე დადებითს, რაც კი რამ გვაქვს ჩვენს მუშაობაში, — იქნება ეს ქალაქად თუ სოფლად.**

პარტიულ-ორგანიზაციული, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სწორედ ეს დადებითი გამოცდილება, სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილება, რომელმაც ესოდენ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოგვაპოვებინა ეკონომიკის დარგში, თითოეული კრებაზე, ყოველ პარტიულ კონფერენციაზე მისხალ-მისხალ შეძენილი გამოცდილება შეადგენს ჩვენი რესპუბლიკის მთელი პარტორგანიზაციის ფასდაუდებელ მონაპოვარს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVIII პარტიულ კონფერენციაზე 1980 წლის 27 დეკემბერს

ამასთანავე ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა მოგვიწოდა **კრიტიკულად მივუდგეთ ხარვეზებს, ნაკლოვანებებს, რომლებიც, როგორც პლენუმზე ითქვა, სამწუხაროდ, გვაქვს როგორც მეურნეობრობის, ისე პარტიული მუშაობის პრაქტიკაში.**

დღეს შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ კრიტიკულად იქნა გაანალიზებული პარტიული კომიტეტების საქმიანობის თითქმის ყველა მხარე. კრებებსა და კონფერენციებზე, სადაც, თამამად შეიძლება ითქვას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთება სუფევდა, შეიქმნა მაღალი მომთხოვნელობისა და ორმხრივი მომკითხველობის, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის ვითარება, გაიკვალა მათი აღმოფხვრის კონკრეტული და რეალური გზები. ყველგან იგრძნობოდა ღრმა, დაუოკებელი მისწრაფება არ დასჯერებოდნენ მოპოვებულს, ეღვაწათ მეტის, უკეთესის, თვისებრივად ახლის შესაქმნელად. ამის ყველაზე ნათელი დადასტურება გახლდათ 100 ათასზე მეტი კრიტიკული შენიშვნა, წინადადება და რეკომენდაცია, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს გამოუგზავნეს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს რიგითმა კომუნისტებმა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებმა, რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციების დელეგატებმა. ახლა ცენტრალური კომიტეტის აპარატში მთელ ამ მასალებს ვსწავლობთ, ვასისტემებთ, ვაანალიზებთ, რათა ისინი განზოგადებული სახით წარმოვადგინოთ პარტიის ყრილობაზე და მივიღოთ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მასალებთან დაკავშირებით.

ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **ახალი ყრილობისათვის მზადება — ეს როგორც კომუნისტთა, ისე უპარტიოთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის აღმავლობის მძლავრი ბერკეტია.**

კომუნისტთა აქტიურობის ზრდას დამაჯერებლად მოწმობს ის გარემოება, რომ კრებებსა და კონფერენციებს დაესწრო პარტორგანიზაციათა მთელი შემადგენლობის 98 პროცენტზე მეტი, ხოლო კამათში გამოვიდა დამსწრეთა 39 პროცენტი.

ერთობ ნიშანდობლივია ისიც, რომ კომუნისტთა მიერ აღძრული საკითხები გამოირჩევა სიღრმით, არგუმენტირებით, მეტი კომპეტენტურობით. ისინი ეხება პარტიული და სახელმწიფო საქმიანობის ყოველს ასპექტებს, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების დიდი მასშტაბის ეკონომიკურ, სოციალურ და ზნეობრივ პრობლემებს. სრულიად ბუნებრივია, რომ ყველგან ძირითადი ყურადღება ეთმობოდა პრობლემებს, რომლებიც უკანასკნელ პარტიულ ყრილობებზე შემუშავებული ჩვენი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებასთან არის დაკავშირებული, სტრატეგიისა, რომელიც, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თქმით, ითვალისწინებს ეკონომიკის უფრო ღრმა შემობრუნებას ჩვენი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ.

ახლანდელმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ გაძლიერების, მთელი ჩვენი ცხოვრების წესის დემოკრატიული საფუძვლების დამკვიდრების ნიშნით ჩაიარა. ამ და სხვა პრობლემების შესახებ უფრო საფუძვლიანი საუბაისი გვექნება საქართველოს კომპარტიის მომავალ ყრილობაზე. მაგრამ აქ მინდა მოგახსენოთ განვლილი ანგარიშგება-არჩევნების მხოლოდ ერთ ახალ შტრიხზე, რომელიც ამ პროცესის გაღრმავებას მოწმობს. ჩვეულებრივ, პირველადი, რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ საწარმოთა ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი სამეურნეო მუშაკები. ამჯერად აღნიშნული ორგანოების ფორმირების საფუძვლად სხვა პრინციპი იქნა აღებული. ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში კომუნისტებს ასახელებდნენ, ძირითადად, არა თანამდებობრივი ნიშნის მიხედვით, არამედ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში მათი პრაქტიკული მონაწილეობის მიხედვით, რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ზრდაში მათი კონკრეტული წვლილის შესაბამისად.

ამრიგად, **ახლანდელ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას, რომელმაც მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე, საქმიანი მიდგომისა და პრინციპულობის ვითარებაში ჩაიარა, აქვს თავისი განმასხვავებელი ნიშნები, თავისი განმასხვავებელი თავისებურებანი.** მან ცხადყო, რომ ყველგან მნიშვნელოვნად განმტკიცდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, გაძლიერდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, ამაღლდა კომუნისტთა ავანგარდული როლი, უფრო თანამიმდევრულად ხორციელდება ხელმძღვანელობის კოლეგიურობისა და კოლეგიურობის პრინციპი. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია სულ უფრო მეტად ეყრდნობა თავის ძირეულ რგოლებს, რომლებიც ორგანიზაციულად განმტკიცდა, პოლიტიკურად უფრო მომწიფდა, თვისებრივად დაიხვეწა, მუშაობის ახალი, მოწინავე გამოცდილება შეიძინა, ამასთან უფრო საინტერესო, შინაარსიანი გახდა მათი შინაპარტიული ცხოვრება.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გასწიეს, რათა მოემზადებინათ და ჩაეტარებინათ ყრილობისწინა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც **განსაკუთრებული, უაღრესად პასუხსაგები პერიოდია პარტიის ცხოვრებაში, და, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდი სკოლა, უნივერსიტეტია თითოეული კომუნისტისათვის.**

I.

ასეთ დიდ სკოლად, ასეთ ჭეშმარიტ უნივერსიტეტად გვესახება ახლანდელი თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციაც. და თუ უკანასკნელ ხანს ჩვენ სულ უფრო ხშირად ვახსენებთ ხოლმე პარტიული და სამეურნეო მუშაობის ეტალონებს, სწორედ ასეთ ნიმუშად, ასეთ დიდმნიშვნელოვან საწყაოდ წარმოგვიდგება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის კომუნისტთა ეს ფორუმი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVII პარტიული კონფერენციის შემდეგ ჯერ ორი წელი არც კი გასულა, ორი წელი, მაგრამ რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტების, ყველა მშრომელის რაოდენ დიდი გარჯით არის აღსავსე ეს დრო! რა ბევრი რამ გაკეთდა ამ ორ წელიწადში, როგორ გაიზარდნენ ამ ხნის მანძილზე ადამიანები, ჩვენი კადრები, ყველა კომუნისტი! და ყოველივე ამან რა სასიკეთო კვალი დაიჩნია თვით კონფერენციის მუშაობას, რაოდენ კონცენტრირებულად გამოიხატა იგი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ღრმა, ანალიზურ, შინაარსითა და ფორმით ძალზე საინტერესო საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა წაგვიკითხა.

ყოველივე ეს გამოიკვეთა დელეგატთა გამოსვლებში, რომლებიც გამოიჩეოდა განსჯის სიღრმით, ქალაქისა და მთელი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ყველა კონსტრუქციულ პროცესში განსაკუთრებული, პირადი წილხყაორობის გრძნობით, ღრმა პირადი დაინტერესებით, რომ ახალი, უფრო მაღალი მიჩვენებლებისათვის მიეღწიათ ეკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში.

ჩვენ ამ კონფერენციას ერთგვარი სკოლა, უნივერსიტეტი ვუწოდეთ, ვუწოდეთ იმიტომ, რომ მისი მუშაობა მიმდინარეობს პარტიული მეცნიერების — ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, ადამიანებთან მუშაობის, მათი კომუნისტური აღზრდის მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა საფუძველზე.

სწორედ ეს გახლავთ ჩვენი პარტიული კონფერენციის მთავარი თვისებურება.

მისი მეორე, არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა ის, რომ მომდევნო ხანაში ქალაქ პარტიული კონფერენცია, როგორც ჩანს, ჩაივლის იმ ცნობილი დადგენილების შესრულების საქმეში ყველაზე სრული და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების შეჯამების ნიშნით, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე, და რომლის მიღების დღიდან 1982 წლის თებერვალში ზუსტად 10 წელი შესრულდება. ამის შესახებ იოსებარაჯა თავის გამოსვლაში ამხ. რ. ა. გოგლიძემაც.

ამ დადგენილებას ჩვენ ისტორიულ ვუწოდებთ. იგი მართლაც ისტორიულია ჩვენთვის, ვინაიდან სწორედ მისი მიღების შემდეგ დაიწყო არა მარტო საქალაქო პარტორგანიზაციის, არამედ მთელი საქართველოს კომპარტიის საქმიანობის ძირეული გარდაქმნა. მაგრამ ათი წლის ვადა სავსებით საკმარისად გვესახება, რომ ეს დადგენილება ისტორიული გამხდარიყო დროის თვალსაზრისითაც. ეს სწორედ ის ვადა გახლავთ, რომელიც გვავალებს ჩვენ, ავალებს, უწინარეს ყოვლისა, თბილისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას — მოახსენოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე წარმატებით შესრულდა.

ამრიგად, ახლანდელი კონფერენცია წარმოგვიდგება ერთგვარ გენერალურ რეპეტიციად იმ დიდი მუშაობის ძირითადი შედეგების შეჯამების წინ, განვლილი წლების მანძილზე რომ გავწიეთ ამ ფუძემდებელი დადგენილების შესასრულებლად, რომელიც მუდამ იყო და იქნება საქართველოს ყველა კომუნისტის ყურადღების ცენტრში.

ამ დადგენილებაზე გვამახვილებინებდა ყურადღებას სკკპ ცენტრალური კომიტეტიც. ასე იყო 1976 წლის ივნისში, როცა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“. ასე იყო სკკპ XXV ყრილობის წელსაც.

ახლა კი, პარტიის XXVI ყრილობის წინ, ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ, თუ როგორ სრულდება ეს დადგენილება, შეგვიძლია შევაჯამოთ გაწეული მუშაობის ზოგიერთი შედეგი. ახლანდელმა კონფერენციამ გვიჩვენა, რომ ეს შედეგები ფრიად შთამბეჭდავია. პარტიის ყრილობებს შორის განვლილი წლების მანძილზე, მეტადრე XXXVII პარტიული კონფერენციის შემდეგ, ბევრი რამ გაკეთდა. ყველანი დაეჩრწმუნდით, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი პირნათელი წარდგა XXXVIII პარტკონფერენციის წინაშე. ეს თანაბრად შეგვიძლია მივაკუთვნოთ დედაქალაქის პარტორგანიზაციის სამეურნეო-პოლიტიკური საქმიანობის სხვადასხვა მხარეს, უწინარეს ყოვლისა, ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასი, სახელოვანი თბილის-ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროს.

II.

ამხანაგებო!

თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილების მიღებიდან განვლილ წლებს ახასიათებს საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის მკვეთრი ზრდა, მისი ეფექტიანობის ამაღლება, ქალაქის მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

თუ 1972 წელს აღინიშნა, რომ თბილისის მრეწველობა ვერ ასრულებდა ელექტროავტომატიკის ნაწარმის, ფეხსაცმლის, აბრეშუმის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟის გამოშვების დავალებებს, რომ ყოველ მეოთხე საწარმოში შემცირდა რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, ხოლო წინა წელთან შედარებით იკლო შრომის ნაყოფიერებამ, ფონდუკუგებამ, რომ გაუარესდა პროდუქციის ხარისხი და ა. შ., — **მეათე ხუთწლედის წლები თბილისის ეკონომიკის სტაბილური ზრდის წლები გახლავთ.** ამის დასტურად მოვიყვან სულ რამდენიმე ციფრს.

მეცხრე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში (1971 — 1973 წლები) სამრეწველო წარმოების მატების საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა 4,8 პროცენტი, ხოლო 1975 წელს, გასული ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, იგი წინა წელთან შედარებით 10,5 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების ზრდამ მეცხრე ხუთწლედში შეადგინა: პირველ სამ წელიწადში 14,6 პროცენტი, მომდევნო ორ წელიწადში — 16,7 პროცენტი, სულ კი ხუთი წლის მანძილზე — 33,7 პროცენტი.

მეათე ხუთწლედში კი ქალაქის სამრეწველო წარმოების მოცულობის მატება 42 პროცენტს ვგულისხმობ, მაშინ როცა დაგეგმილია 38,2 პროცენტი. წინა ხუთწლედთან შედარებით 3,3 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების მრეწველობის პროდუქცია იქნება გამოშვებული.

უმჯობესდება სამრეწველო წარმოების სტრუქტურა. უპირატესი ტემპით ვითარდება დარგები, რომლებიც უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

აკაპალლოთ თბილისის კომუნისტთა აკანგარდული რული!

(გაგრძელება)

მკვეთრი გარდატეხა მოხდა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში. გაფართოვდა მისი ასორტიმენტი, უდავოდ გაუმჯობესდა ხარისხი. წარმატებით სრულდება ფეხსაცმელის, აბრეშუმის ქსოვილების, ზედა ტრიკოტაჟის წარმოების დავალებანი და ა. შ.

მე საგანგებოდ ვეხები, ამხანაგებო, სწორედ იმ პოზიციებს, რომელთა გამოც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში გააკრიტიკა თბილისის საქალაქო კომიტეტი. როგორც ხედავთ, მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად გამოკეთდა. საკმარისია ითქვას, რომ წელს ქალაქი გამოუშვებს 93 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სახალხო მოხმარების საქონელს, ვიდრე შარშან.

დადებითი შეფასების ღირსია გეზი პარტიის საქალაქო კომიტეტისა, რომელიც შეუნელებელ კონტროლს უწევს მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოებასა და რეალიზაციას, რასაც მოწმობს თბილისის კომიტეტის შარშანდელი პლენუმის გადაწყვეტილებანი. ამ მხრივ მიზანდასახულ მუშაობას უწევიან პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, თბილისის საქალაქო აღმასკომი, სამეურნეო ხელმძღვანელები, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით ძალზე ცოტა რამ გაკეთდა. შეტი ძალისხმევა, მეტი ენერგია გვმართებს, რათა შევქმნათ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ხანგრძლივი პროგრამა, რომლის შესახებაც იყო სჯა-ბაასი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე.

ორი დღის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები რამდენადმე უჩვეულო გამოფენას ეწვივნენ. ჩვეულებრივ, ექსპოზიციაზე გამოაქვთ ხოლმე გასაყიდი ან ისეთი საქონელი, რომელსაც ესა თუ ის საწარმო უშვებს. ამჯერად ვაჭრობის სამინისტრომ გადაწყვიტა გაეხსნა იმ ფართო მოხმარების საქონლის გამოფენა, რომელიც არ არის სავაჭრო ქსელში და რომელსაც ან აწარმოებენ ან საკმაო რაოდენობით არ უშვებენ რესპუბლიკის საწარმოები. ეს კარგი, უაღრესად დეფიციტური საქონელია, მასზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ იგი [illegible] ყოველია ხალხს, თუმცა მისი წარმოებისა[illegible] ჩვენს საწარმოებს მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ [illegible]ადგებოდათ. შეუძლიათ გამოუშვან, მაგრამ არ უშვებენ, რადგან, ეტყობა, ხელმძღვანელობენ პრინციპით: რატომ გავაკეთოთო, როცა შეგვიძლია არ ვაკეთოთო? ეს არ არის ჩვენი პრინციპი, იგი არას გვარგებს.

ასე, ან დაახლოებით ასე მსჯელობენ საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს, მათ შორის, თბილისში განლაგებული საწარმოების ხელმძღვანელები. თავისთავად ეს საწარმოები ურიგოდ არ მუშაობენ, წარმატებით უშვებენ ძირითად პროდუქციას, მაგრამ მათი ხელმძღვანელები მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოებას სათანადო გაგებით არ აკადებენ.

ასეთ საწარმოებს განეკუთვნება სსრ კავშირის ჩარხსშენებელი და საინტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა, რომელიც თავის დროზე უშვებდა ფიგურული კარტოფილსფაცქენელს და სხვა სახეობათა ფართო მოხმარების საქონელს. ეს რამდენიმე ხანია აქ თვითნებურად შეწყვიტეს ამ პროდუქციის გამოშვება და ასევე თვითნებურად არ შეიტანეს მომავალი წლის გეგმაში ხორცსაკეპი მანქანების დანებისა და ჯაყვების გამოშვება, თუმცა ქარხანა მათ წინათ ამზადებდა და ამ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნა იყო.

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებამ „ელმავალმშენებელმა“ იმ სიბაბით შეწყვიტა საყავეების გამოშვება, რომ ამ პროდუქციაზე მოთხოვნა არ არისო, მაშინ როდესაც სინამდვილეში სავაჭრო ორგანიზაციებს შეუძლიათ 100 ათასზე მეტი ასეთი საყავის რეალიზება.

მომეტებული მოთხოვნაა ბევრი ისეთი სახეობის საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ საქონელზე, როგორიც არის საპარსი კრემი და სხვა. თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერია“ კი არ უშვებს ამ საქონელს, თუმცა მასზე არსებული მოთხოვნილება ოთხი მილიონი მანეთის მოცულობით არის განსაზღვრული.

ყოველწლიურად ამციერებს საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმის მოცულობასა და ასორტიმენტს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანება „საქყოფქიმი“. 1971 წელს მან გამოუშვა 38 დასახელების ნაწარმი, 1979 წელი — 11, 1980 წელს — 9 დასახელებისა, ხოლო 1981 წელს აქ ამირებენ გამოუშვან 3,6 მილიონი მანეთის 10 დასახელების პროდუქცია, მაშინ როდესაც აქვთ სრული შესაძლებლობა გაასაღონ 11 მილიონი მანეთის 26 დასახელების პროდუქცია. მეურნეობრიობის ასეთი პრაქტიკა საქმისადმი ანტისახელმწიფოებრივ მიდგომას წაგაგავს.

მსურველებს შეუძლიათ მთელი ეს საქონელი ნახონ ვაჭრობის მუშაკთა მიერ მოწყობილ გამოფენაზე, რომელიც ერთგვარი უსიტყვო საყვედურია ჩვენი მრეწველობის მუშაკთა მიმართ.

ყოველივე ამაზე შეგვიძლია ასე დაწერილებით არც გველაპარაკა, მთელი ეს უჩვეულო ექსპონეტია (ზემოაღნიშნული ნაწარმის გარდა), საჯაროდ რომ არ გვიჩვენებდეს ჩვენი ზოგიერთი ხელმძღვანელის გაუაზრებელ ინიციატივას, რომლებსაც მარტო ის ანაღვლებთ, რომ როგორმე შეასრულონ გეგმა, და არა ის, რომ მოიხადონ თავიანთი ვალი ადამიანთა წინაშე, ასიამოვნონ მათ კარგი პროდუქციით, — ასეთი ხელმძღვანელი ამისთვის თავს არ იწუხებს. შეუძლია გაკეთოს, მაგრამ არ აკეთებს, არ აკეთებს იმიტომ, რომ თავი არ აიტკიოს ზედმეტი საზრუნავით, გვაყვს ასეთი ხელმძღვანელები.

აბა, როგორ არ გავიხსენოთ აქ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები!

„თანამდებობა“ და „თანამდები“ ერთი ძირის სიტყვებია,— ამბობს იგი, — ხალხს წინაშე მოვალეობა— პარტიული, სამსახურებრივი, ადამიანური — ყოველთვის უნდა გვახსოვდეს... მუშაკის ავტორიტეტი, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, გარედან როდი მოდის. იგი უნდა მოვიპოვოთ პირადი მეცადინეობით, ყოველდღიური შრომით, რეალური საქმეებით“.

ფრაგი არ იქნება, შევახსენოთ ეს ზოგ-ზოგებს, მათ შორის ჩვენი ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელებსაც.

აი, რა განსჯისათვის განგვაწყო ამ უჩვეულო გამოფენამ. დაათვალიერეთ იგი, ამხანაგებო, მე ვფიქრობ, ეს სასარგებლო იქნება.

რაღა დაგიმალოთ და, ყოველივე იმან, რაც ვნახე, ძალზე დამაფიქრა გულქვა კაცის ბუნებაზე, იმაზე თუ რა მომენტში იმძლავრებს ხოლმე მასში უსულგულობა და გულგრილი დამოკიდებულება ადამიანთა ელემენტარული მოთხოვნილებებისადმი, მათი სათხოვრების, ყოველივე იმისადმი, რაც მათ ესოდენ სჭირდებათ. სწორედ ასეთ გულქვათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისინიც, ვინც ამჯარად ცინიკურად ეკიდება თითოეულის სრულიად ბუნებრივ და სრულიად სამართლიან, გასაგებ სურვილს — იცვამდნენ კარგად, გემოვნებით, ჰქონდეთ არც ისე ძვირი, მაგრამ კოხტა ნივთები, რომლებიც მათ სიხარულს მიანიჭებს.

თბილისში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქალაქებში, უუვართ მოდურად ჩაცმა. კარგი ჩაცმა-დახურვა ახალგაზრდასაც უყვარს და ხანდაზმულსაც. სულაც არ არის სავალდებულო, რომ ეს იყოს ძვირფასი სამოსი, ყველას ყურადღებას რომ იპყრობს. ვის არ ესიამოვნება ჰკონდეს სადა, მაგრამ კარგად შეკერილი კოსტიუმი, მოდური პალტო, უკანასკნელი ფასონის ფეხსაცმელი, რომელ დედას, რომელ მამას არ უნდა, რომ შვილებს ახალი სეზონისათვის კარგი ტანსაცმელი უყიდოს. ამისათვის ჩვენში ბევრი რამ კეთდება მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების ხაზით, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა. ვიმეორებ, უკანასკნელ წლებში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ, კეთდება ბევრი რამ, მაგრამ არა — ყველაფერი. და უმთავრესად იმიტომ, რომ იმათ შორის, ვისაც ეს საქმე აკისრია, არიან ისეთებიც, ვისაც არა აქვს არავითარი სურვილი მიანიჭოს ადამიანებს სიხარული, ასიამოვნოს მათ.

თითქოს უკვე შევეგუეთ და კანონზომიერად გვეჩვენება, რომ სხვა რესპუბლიკებში, ვთქვათ, ბალტიისპირეთში, ჩვენზე უკეთ კერავენ, ბევრნი ერეკნენ ფეხსაცმელს ამჯობინებენ. ჩვენს ატელიეებში მთელი პრობლემაა კარგი, კოხტად მორგებული კოსტიუმის შეკერვა. თანაც ეს საკმაოდ ძვირი ჯდება. ჩვენში თითქოს დაკოტავდნენ ცნობილი მკერავები, თავიანთი საქმის მცოდნე ხელოსნები, რომლებიც თავის დროზე განსაკუთრებით პოპულარული იყვნენ და რომელთა შრომას ქალაქის მოსახლეობა პატივისცემით ეკიდებოდა.

მოდით, ამ საქმესაც სერიოზულად მოვკიდოთ ხელი, დავეხმაროთ ადამიანებს კოხტად, გემოვნებით ჩაიცვან, ისე ვქნათ, რომ კარგი ჩაცმა-დახურვა ყველა ოჯახისათვის ხელმისაწვდომი იყოს.

აქ დიდი საასპარეზო სარბიელი ესახებათ მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს, ჩვენს ფეიქრებსა და მეფეხსაცმელეებს, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროს მუშაკებს, სამკერვალო სახელოსნოებისა და ატელიეების ხელოსნებს. ყველას შეგიძლია თავისი წვლილი შემატოს საერთო საქმეს, ყველა შეუძლია კარგი ქნას, სიხარული მიანიჭოს ადამიანებს, ოღონდ გული გულობდეს. და სწორედ ეს უნდა მიაჩნდეთ თავიანთ მოწოდებად იმათ, ვინც მოვალეა ზრუნავდეს ადამიანებისათვის.

ქალაქში ბევრი რამ კეთდება პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ასამაღლებლად. თუ მეცხრე ხუთწლედის დამლევს ქალაქის სამრეწველო საწარმოები 160-მდე დასახელების სახელმწიფო ხარისხისნიშნიან ნაწარმს უშვებდნენ, ახლა მათი რიცხვი თითქმის ათასს აღწევს. ხოლო ასეთი საქონლის წილმა მრეწველობის პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობაში თითქმის 22 პროცენტი შეადგინა. მართლაც რომ კარგი მაჩვენებელია.

დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ზრდა, რომლებიც მეათე ხუთწლედში გადიდდა 36,1 პროცენტით, ამასთან მომუშავეთა ფონდოაღჭურვილობამ იმატა 24 პროცენტით. გაიზარდა წარმოების რენტაბელობაც. კვეთრად იკლო ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვმა.

თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია კაპიტალური მშენებლობის გეგმების სისტემატური შეუსრულებლობა. ახლა სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში თბილისს საუკეთესო მაჩვენებლები აქვს მთელ ჩვენს რესპუბლიკაში.

მეათე ხუთწლედში წარმატებით სრულდება საიჯარო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმები. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, რომელიც 247 მილიონი მანეთით სჭარბობს შეცხრე ხუთწლედისათვის გამოყოფილ ასიგნებებს; უზრუნველყოფთ ძირითადი ფონდების ამოქმედების ზრდას; სრულდება სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი.

თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ 1971 წელს არ შესრულებულა ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალება. მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს კი უზრუნველყოფთ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების სრულ ათვისებას. სულ ხუთწლედის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 2,5 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ეს კი ნიშნავს, რომ კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფთ 40 ათასზე მეტ ოჯახს.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამშენებლო წარმოების პროცესი ქალაქში უკვე ექვემდებარება პარტიული და საბჭოთა ორგანოების მართვას, რომლებიც ახლა სულ უფრო აქტიურად ზემოქმედებენ კაპიტალური მშენებლობის — ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს — მიმდინარეობაზე.

საგრძნობლად განმტკიცდა კომუნალური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელსაც ხუთწლედში 110 მილიონ მანეთზე მეტი ხმარდება.

საწარმოო ძალების დაჩქარებული ზრდა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაღიდება ქალაქის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების მკვიდრი საძირკველი გახდა. ხუთწლედის მანძილზე მოსახლეობის ფულადი შემოსავალი გაიზრდება 35 პროცენტით და მეტად, ხოლო ნელფასი — რეალური შემოსავლის ზრდის ეს ძირითადი წყაროა — 30 პროცენტით.

1972 წელს აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციაში, განსაკუთრებით ახალ საცხოვრებელ მასივებში. ახლა შეგვიძლია კმაყოფილებით ვთქვათ, რომ მეათე ხუთწლედში საცალო საქონელბრუნვის მოცულობა თბილისში გაიზრდება 32,1 პროცენტით, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 48,8 პროცენტით; ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ეს ზრდა შეადგენს შესაბამისად 26 და 40,4 პროცენტს. მართლაც რომ, შთამბეჭდავი ციფრებია!

ზმირად გვითქვამს, რომ დიდი შესაძლებლობების მიუხედავად არ არის მოგვარებული ქორფა ბოსტნეულისა და ხილის შეუფერხებელი სახელმწიფო ვაჭრობა. ახლა გაცილებით გამოკეთდა თბილისის მოსახლეობის მომარაგება ძირითადი სურსათ-სანოვაგით. უკვე აღარ არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც 8-10 წლის წინათ გვქონდა, როცა ბაზარი გადამწყვეტ როლს ასრულებდა ამ პროდუქტებით ქალაქის მოსახლეობის მომარაგებაში. ახლა ბაზრის წილად სურსათის საერთო მოცულობის მხოლოდ 13 პროცენტი მოდის.

რა თქმა უნდა, ამ დროის მანძილზე მოპოვებული მიღწევების ნუსხა შეიძლებოდა განგვეგრძო კიდეც. ამისათვის საკმარისია ავიღოთ მხოლოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე, და პუნქტ-პუნქტად დავიწყოთ, რაოდენ წარმატებით სრულდება იგი. მაგრამ ამაზე საკმაოდ დაწერილები ილაპარაკეს მომხსენებელმაც და აქ გამოსულმა ამხანაგებმაც.

თბილისის კომუნისტების, ყველა მშრომელის — საქართველოს დედაქალაქის შესანიშნავი მუშათა კლასის, მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის, მოსამსახურეების, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკების ყველაზე დიდი მადლობა — ეს არის გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელშიც თბილისს ზედიზედ ოთხგზის მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს გასაკვირი არ ეთქმოდეს სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის ხუთწლიანი დავალების ვადამდე, 12 სექტემბრისათვის შესრულება. და მე, როგორც დელეგატი, მთლიანად ვიზიარებ თენგიზ ნიკოლოზის ძე მენთეშაშვილის იმ იმედს, რომ კონფერენცია ერთსულოვნად მოიწონებს საქალაქო კომიტეტის განზრახვას შეინარჩუნოს ეს დონე მეხუთედაც — ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მუშაობის შედეგების მიხედვით. ვიზიარებ და სულით და გულით ვუსურვებ ამის მიღწევას, ვუსურვებ ამ შესანიშნავი ტრადიციის შენარჩუნებას მეოთხედ ხუთწლედსა და მომდევნო წლებში. ღრმა შესწავლისა და აქტიური მხარდაჭერის ღირსია აგრეთვე თბილისელ ავიამშენებელთა თაოსნობა, რომლებმაც მტკიცედ გადაწყვიტეს დარგში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიონ ქვეყნის მასშტაბით.

სულ ცოტა ხნის წინათ მთელმა ჩვენმა რესპუბლიკამ დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვა. **საბჭოთა საქართველომ ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედი!**

ამასთან დაკავშირებით ჩვენმა ძვირფასმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა გულთბილი, გულითადი მოლოცვა გამოგვგზავნა. ეს სასახელო ამბავი მყისვე მოედო მთელ რესპუბლიკას, მან დაისადგურა ყოველ სახლში, თითოეულ ოჯახში, ყოველ შრომითს კოლექტივში, თითოეული ადამიანის გულში. მას მოჰყვა მთელი ჩვენი ხალხის შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ახალი აღმავლობა, ახალი ენთუზიაზმი.

ამასთან დაკავშირებით თბილისში, კონსტიტუციის მოედანზე, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოედანზე, ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. და სწორედ თბილისს მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი ამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოწყობაში. ჩვენ განსაკუთრებით ვამაყობთ, რომ სწორედ თბილისი გამოვიდა მეათე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და თავად ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა გამარჯვება ამ შეჯიბრებაში. **ამით ერთხელ კიდევ გამოვლინდა მისი წამყვანი როლი მთელი რესპუბლიკის ცხოვრებაში. ამან ერთხელ კიდევ ცხადყო დედაქალაქის პარტიორგანიზაციის ავანგარდული როლი.** და ჩვენ სულითა და გულით ვულოცავთ თბილისს, ვულოცავთ ძის კომუნისტებს, გილოცავთ ყველას, ძვირფასო ამხანაგებო!

— ყოველი ჩვენი ხუთწლედი, — თქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, — დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სამშობლოს ისტორიაში. ყოველი მათგანი თავისებურად ნიშანდობლივია, ატყვია თავისი დროის გახუმეორებელი ნიშან-თვისებები, და თითოეული სამუდამოდ არის აღბეჭდილი ხალხის მეხსიერებაში; ამავე დროს ისინი გახუყოფილია ერთმანეთისაგან, ეს შესანიშნავი თავებია ერთი დიადი წიგნისა, რომელიც გვაცნობს ჩვენი ხალხის გმირულ შრომას სოციალიზმისა და კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

შესანიშნავი სიტყვებია!

დიახ, ყოველი ხუთწლედი ჩვენი ქვეყნის ზრდის ახალი საფეხურია, პარტიისა და ხალხის ცხოვრების ახალი ნიშანსვეტია და თითოეული მათგანი თავისებურად ძვირფასია ჩვენთვის, ჩვენ კანონიერად ვამაყობთ ყოველი ხუთწლედით. მაგრამ განსაკუთრებით შესანიშნავია მეათე ხუთწლედი! და ჩვენ ვიცით, ჩვენ დარწმუნებული ვართ: ისინი, ვინც ჩვენ შეგვცვლის, მოგვალი თაობები, განსაკუთრებული სიამაყისა და განსაკუთრებული მღელვარების გრძნობით ილაპარაკებენ მეათე ხუთწლედის გმირებზე, წვლილზე, რომელიც მას შემატეს საქართველოს მშრომელებმა, ჩვენმა თანამედროვეებმა, რესპუბლიკის კომუნისტებმა, და ამ უდიდეს წვლილში საგანგებოდ აღინიშნავენ თბილისის კომუნისტების, ყველა მისი მშრომელის ამაგს.

ერთხელ კიდევ ვამბობ: **თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა.**

გაკეთდა ბევრი, მაგრამ არა — ყველაფერი!

III.

რა თქმა უნდა, ეს აჩემებული „მაგრამ“, რომელსაც ჩვეულებრივ, ყოველივე დადებითისა და პოზიტიურის შემდეგ დავაყოლებთ ხოლმე, ყოველთვის რაღაცის მომასწავებელია. ჩვენ ეს ვიცით. ეს ახლაც იგრძნობა დარბაზის რეაგირებით, რაც არ გვაჩერებს და სულაც არ გვაცბუნებს. ეს „მაგრამ“ ჩვენი წინასწლის საწინდარია. დამეთანხმებით, რომ დავსჯერდეთ მიღწეულს — ნიშნავს გავჩერდეთ, ხოლო გაჩერება სიკვდილს ნიშნავს! აი, რატომ არის, რომ, **რაოდენ დიდი, რაოდენ მნიშვნელოვანი წარმატებებიც უნდა გვქონდეს, ყოველ ჩვენგანს მუდამ თან უნდა სდევდეს დაუქმაყოფილებლობის გრძნობა, მუდამ უნდა ამოძრავებდეს მეტის მიღწევის მისწრაფება, ყველაფრის სიუკეთესოდ გაკეთების წადილი. კომუნისტები არასდროს არ უნდა სჯერდებოდნენ მიღწეულს! ეს ჩვენი ცხოვრების კანონია.**

სულ ცოტა ხნის წინათ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების დღეს, როცა სამშობლოს ჯილდოს იღებდა, თქვა, რომ ჩვენ წინაშე, მთელი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დგას დიდი და ძნელი ამოცანები, რომლებსაც უახლოესი წლებისათვის განსაზღვრავს პარტიის XXVI ყრილობა, რომ ამ ამოცანების გადასაწყვეტად **ჩვენ მთელი არსებითი უნდა ვიღვაწოთ,** თან დასძინა: სწორედ ეს იქნება პრაქტიკული ბრძოლა თანამედროვე პირობებში დიდი ოქტომბრის რევოლუციის იდეალებისათვის, და აღგვთქვა, მთელ ჩემს ძალ-ღონეს ამ კეთილშობილურ საქმეს მოვახმარო.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ყველას შთამაგონებელ მაგალითს გვიჩვენებს. მთელი არსებით იღვაწო ჩვენი საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფო საქმისათვის — ეს ითქვა ჩვენგანის უშუალო და, მე ვიტყოდი, წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ყოველი ჩვენგანი მოვალეა მთელი ძალ-ღონე მოახმაროს ამ კეთილშობილურ საქმეს, კომუნიზმის შშენებლობის საქმეს. ეს ეხება საქართველოს ყველა კომუნისტს და, უწინარეს ყოვლისა, თბილისის კომუნისტებს.

სწორედ ეს დაუმაყოფილებლობის გრძნობა, მეტის, უკეთესის მიღწევის წადილი, პარტიისა და რესპუბლიკის წინაშე მოვალეობის გრძნობა გვამოძრავებდა, როცა თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მწვავე და პირფთვნელი სჯა-ბაასი გავმართეთ მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ. სერიოზული საყვედურების მოსმენა მოუხდათ ამხანაგებს მიმდინარე წლის მარტშიც, თბილისისათვის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისას. მახსოვს, მაშინ ზოგიერთებმა თქვეს კიდეც, ნუთუ არ შეიძლებოდა, ისეთი საზეიმო დღეს ესოდენ მკაცრად არ გაგეკრიტიკებინეთო.

მაგრამ ჩვენ ესეც არ ვიკმარეთ, რამდენიმე თვის შემდეგ, მიმდინარე წლის ივნისში, ცენტრალურ კომიტეტში მოვიწვიეთ სამუშაო თათბირი, რომელზეც განვიხილეთ, თუ როგორ სრულდებოდა ამოცანები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა წინა პარტიულ კონფერენციაზე. მაშინაც ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა. ამხანაგებს კარგად ახსოვთ ეს.

სწორად ბრძანა გუშინ თენგიზ ნიკოლოზის ძემ, ამ თათბირმა და ამ სჯა-ბაასმა თავისი როლი შეასრულა ბევრი პრობლემის გადაჭრაშიო. სავსებით ვეთანხმები, და მინდა დავძინო, რომ **დღეკანდელობის პოზიციებიდან, უკანასკნელ წლებში მოპოვებული მიღწევების პოზიციებიდან ყველა ეს შეხვედრა, მთელი ეს სჯა-ბაასი და მთელი ეს კრიტიკა, თუნდაც ყველაზე მწვავე, და ყველაზე მკაცრი, ფრიად სასარგებლო გამოდგა.** ვიმეორებ, ამას მკაფიოდ მოწმობს შედეგები, რომლებთაც თბილისის საქალაქო პარტორგანიზაცია შეეგება თავის XXXVIII კონფერენციას.

ამიტომ, მოდით სხვაგვარად მოვეკიდოთ სიტყვა „მაგრამ“-ს და შევთანხმდეთ: მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, მართალია, ბევრი რამ არის მიღწეული, მაგრამ თბილისის კომუნისტებს გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზე ბევრი აქვთ. **ქალაქი ხომ ცოცხლობს და ვითარდება, და მასთან ერთად ჩნდება და მატულობს ქალაქის პრობლემები,** ეს პრობლემები კი ხელწამოსაკრავი არ გასლავთ.

ნება მიბოძეთ შევეხო ზოგიერთ მათგანს.

დავიწყებ კაპიტალური მშენებლობის, რესპუბლიკის დედაქალაქის კეთილმოწყობის საკითხებით. და აქ არ უნდა დავსჯერდეთ მიღწეულს, მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა განვამტკიცოთ არსებული წარმატებანი, მეტი ყურადღება დავუთმოთ ძირითადი ფონდების ამოქმედებას, მშენებლობის ვადების შემცირებას, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას—საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამ გენერალური ამოცანის გადაწყვეტას. ბევრმა დელეგატმა, მათ შორის ამხ. თ. ე. ბოლოძემაც აღძრა ეს საკითხები.

გასაკეთებელი ბევრი რამ გვაქვს: უნდა განვახორციელოთ ისეთი უდიდესი საწარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება, როგორიც არის საწარმოო გაერთიანებები „ელმავალმშენებელი“, „ელექტროაპარატი“, „ჩარხმშენებელი“, და ელექტროვაგონშემკეთებელი, ფოლად-თუჯსამსხმელო, „საქსოფლმანქანის“ ქარხნები და სხვ.

ქალაქში კვლავ მწვავედ დგას საბინაო პრობლემა, და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ. ალბათ, ეს ყველაზე მწვავე პოლიტიკური და სოციალური პრობლემაა, რომელიც 80-იან წლებში უნდა გადავჭრათ. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამ საქმეში გარკვეული წარმატებანი მოვიპოვეთ. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ბინების მშენებლობის მოცულობის უფრო მნიშვნელოვანი ზრდა. ამისათვის შექმნილია, და ეს შეიძლება უკვე დარწმუნებით ითქვას, მტკიცე ბაზა: საბინაო მშენებლობა გადაყვანილია ინდუსტრიულ რელსებზე საქარხნო სახლთმშენებლობის შექმნის გზით. სულ ცოტა ხნის წინათ კი ასეთი ბაზა არ გვქონდა. ორი დიდი სახლთმშენებელი კომბინატის ამოქმედებამ საშუალება მოგვცა ქალაქში საბინაო მშენებლობის მოცულობა წელიწადში 500 ათასი კვადრატული მეტრით და მეტად გაგვიზარდა.

სწორედ ასეთმა მტკიცე, სოლიდურმა საფუძველმა მისცა საშუალება პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიეღოთ გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს, რომ 1981 წელს თბილისის საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების 15 პროცენტით გაიზარდოს მიმდინარე წლის გეგმის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით. ეს საკმაოდ დიდი ზრდა, სოლიდური თანხა, რომლითაც დამატებით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 70 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. მათ შორის მომავალი წლისათვის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიზნობრივი დანიშნულებით გამოყოფილი აქვს 7 მილიონი მანეთი, რათა შექმნას ეგრეთ წოდებული გაცვლითი საბინაო ფონდი. ეს საკითხი არაერთხელ დაუსვამთ ქალაქის ხელმძღვანელებს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე. ასეთი ფონდის შექმნა საშუალებას მოგვცემს ძველი საცხოვრებელი სახლებიდან ხალხი შევასახლოთ ახალ კეთილმოწყობილ ბინებში, შევაკეთოთ და აღვადგინოთ ძველი სახლები, შევქმნათ იქ საჭირო კომფორტული პირობები და კვლავ შევასახლოთ მობინადრეები.

ღონისძიებათა მთელი კომპლექსი საშუალებას მოგვცემს მომავალი ხუთწლედის პირველ წელს საბინაო პირობები გავუუმჯობესოთ 10 ათასზე მეტ ოჯახს. საბინაო მშენებლობის ამ შთამბეჭდავი პროგრამის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეაფასო, და მის განხორციელებას შევძლებთ, ვიმეორებ, მხოლოდ იმ მტკიცე საძირკვლის წყალობით, რომელიც გვექნება შესაბამისი ინდუსტრიული ბაზის შექმნის შედეგად. ეს კი დაგვეხმარება რესპუბლიკის დედაქალაქში კვლავაც უფრო სწრაფი ტემპით ვაშენოთ ბინები. ვიმეორებ, ხაზს ვუსვამ, რომ 80-იანი წლებისათვის ჩვენ განსაკუთრებული ამოცანები გვაქვს დასახული სწორედ საბინაო მშენებლობის დარგში.

ახლა საქმე ის არის, რომ მთლიანად ავითვისოთ გამოყოფილი სახსრები, რადაც უნდა დაგვიჯდეს ამ მუყობრში ჩავაყენოთ მეტი ბინა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობს. აშენდა ეტალონი სახლები — რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, რომელთა სამშენებლო-სამონტაჟო და მოსაპირკეთებელი სამუშაოები მაღალხარისხოვნად არის შესრულებული. ამგვარი ეტალონები გამონაკლისი არ უნდა იყოს. უნდა მივაღწიოთ, რომ ყოველი ახალი საცხოვრებელი სახლი აკმაყოფილებდეს უმაღლეს მოთხოვნებს, იყოს უმაღლესი ხარისხისა, იყოს ნამდვილი ეტალონი.

ყოველნაირად უნდა განვავითაროთ საბინაო-კოოპერაციული მშენებლობა, რომელიც გარკვეულწილად ანელებს თბილისში საბინაო პრობლემის სიმწვავეს. საკმარისია ვთქვათ, რომ მეათე ხუთწლედის მანძილზე კოოპერაციული ბინა მიიღო 10 ათასზე მეტმა ოჯახმა. გაისად საექსპლოატაციოდ გადაეცემა 139 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის კოოპერაციული სახლები, რაც საშუალებას მოგვცემს კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველვყოთ კიდევ 2 ათასზე

ავამაღლოთ თბილისის კომუნისტთა ავანგარდული როლი!

(გაგრძელება)

ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის გამტარუნარიანობა ბევრად გაიზარდა. ყველაზე შემჭიდროებულ ვადებში აშენდა ორი ნაკმპრესორო სადგურები ჩმოსა და ქვეშეთში, გაფართოვდა საგურამოს საკომპრესორო სადგური.

თბილისის გაზმომარაგების საიმედოობის უზრუნველყოფისათვის ორი წლის მანძილზე გლდანსა და ვეძისს შორის აშენდა მაღალი წნევის 22 კილომეტრი გაზსადენი, რის მეოხებითაც არსებითად გაუმჯობესდა ორჯონიკიძის, კალინინისა და კიროვის რაიონების გაზმომარაგება. 1979 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა № 3 გაზმანაწილებელი სადგური, რომელიც უზრუნველყოფს 26 კომისრის სახელობის რაიონის ძირითადი ნაწილის ნორმალურ გაზმომარაგებას.

1981 წელს ბუნებრივი გაზის მიწოდების შეზღუდვის, გაუთვალისწინებელი ავარიებისა და მკვეთრი აცივებების შემთხვევისათვის შეიმუშავებთ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, რომლის საფუძველზე ავაშენებთ თბილისში მისაწოდებლად ჰაერისა და თხევადი გაზის ნარევის მისაღებ, შესანახ, სარეგაზიფიკაციო და მოსამზადებელ საცდელ-სამრეწველო კომპლექსს.

მომავალ ხუთწლედში ქალაქის გაზის მაგისტრალების მშენებლობის გარდა დასახულია გაჩიანიდან ტაბახმელამდე ახალი 20-კილომეტრიანი ხაზის გაყვანა, რაც საშუალებას მოგვცემს თბილისის გარშემო შეგქმნათ მაღალი წნევის გაზსადენების ერთიანი რკალი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დასახეს ჩვენი რესპუბლიკის გაზით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ახლა ამიერკავკასიის რესპუბლიკები იღებენ გაზს ქვეყნის ცენტრალური რაიონებიდან დაახლოებით სამი მილიარდი კუბური მეტრის ოდენობით, აგრეთვე აზერბაიჯანში მოპოვებულ გაზს. 1982 წელს დამთავრდება მოზდოკ-ყაზი-მაგომედის გაზსადენის მშენებლობა, ხოლო 1985 წელს რეკონსტრუირებული იქნება ნოვოფსკოვ-აქსაი-მოზდოკის გაზსადენების სისტემა. ეს ხუთწლედის დამლევისათვის უზრუნველყოფს ამიერკავკასიისათვის წელიწადში 8-9 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდებას, მეთორმეტე ხუთწლედში კი გაზის მიწოდება 13-15 მილიარდი კუბური მეტრით გაიზრდება. როგორც ხედავთ, გაზით მომარაგების პრობლემა მეათე ხუთწლედში საკმაოდ საფუძვლიანად წყდებოდა.

ამ ბოლო წლებში თბილისის ბევრ სამრეწველო საწარმოსა და თბოსადგურში შექმნილია 20 ათასი კუბური მეტრი დამატებითი სარეზერვო სათბობის საცავები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა, საქალაქო აღმასკომმა, რაიაღმასკომების, მრავალი საწარმოს ხელმძღვანელებმა და, რაღა თქმა უნდა, რესპუბლიკურმა კომისიამ, რომელსაც ამხ. ვ. ი. ვადაჟკორია ხელმძღვანელობს, უდიდესი მუშაობა გასწიეს. გაფართოებული და განახლებულია თბილისის ნავთობბაზა, რომლის საცავებში ახლა მაზუთის ერთი თვის მარაგის შენახვა შეიძლება. აგებულია შვიდი ახალი ავტოგასაწყობი სადგური.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ნავთობპროდუქტებით, განსაკუთრებით ავტობენზინით მომარაგების საქმეში, უმთავრესად იმის გამო, რომ შეფერხდა მათი მოწოდება სხვა რეგიონებიდან, რომ ცოდად მუშაობს ზოგიერთი ნავთობგადამუშავებელი ქარხანა. ამასთან ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხნის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე საქართველოს ფარგლებს გარეთ იგზავნებოდა, ახლა საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებით 1981 წლის იანვრიდან ბათუმის ქარხანა ჩვენს რესპუბლიკას მთლიანად უზრუნველყოფს დიზელის სათბობითა და საავიაციო ნავთით, ხოლო 1982 წლიდან ა-76 მარკის ავტობენზინითაც. თავის მხრივ, ქარხანა 65 პროცენტით იქნება უზრუნველყოფილი ქართული ნავთობით, რომელსაც იგი მიიღებს ახლახან. საექსპლოატაციოდ გადაცემული გაჩიან-ბათუმის ნავთობსადენთ.

თავის დანიშნულებას ჯერჯერობით ვერ ამართლებს „საქმთავარნავთობმომარაგება“ — ორგანიზაცია, რომელმაც პრაქტიკულად უნდა გადაჭრას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის ნავთობპროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია, რომლებზეც ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მიაპყრო ამ მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობისა და მისი უფროსის ამხ. ჟ. მ. ჯანგველაძის ყურადღება. ნავთობპროდუქტებს მომხმარებელს აწვდიან დიდი შეფერხებებით, არ არის ჯეროვანი წესრიგი ბენზინის ვაჭრობაში. თბილისში ავტოგასაწყობი სადგურების ქსელი ნორმით გათვალისწინებულზე ერთიორად ნაკლებია.

მაგრამ უნდა ვიზრუნოთ არა მარტო სათბობით შეუფერხებელი მომარაგებისათვის, არამედ თბოენერგეტიკული რესურსების ყოველმხრივი დაზოგვისთვისაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამას თბილისისათვის — რესპუბლიკაში ამ რესურსების უდიდესი მომხმარებლისათვის, სადაც ეს რესურსები ძალზე უყაირათოდ იხარჯება.

სათბობისა და ელექტროენერგიის გადახარჯვა ბევრ საწარმოში იმის გამო ხდება, რომ იქ არ იცავენ ნორმებს, არღვევენ მოხმარების რეჟიმს, დიდძალი მოწყობილობა გაუმართავია, მორალურად მოძველებულია. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, სამრეწველო საწარმოებში, საბინაო და კომუნალურ მეურნეობაში მომუშავე ყველა კომუნისტმა.

პრინციპულად დიდი მნიშვნელობა აქვს მეორეული ენერგორესურსების (წამავალი გაზის, ნამუშევარი ორთქლის, სამრეწველო საწარმოების ვენტილაციური განფრქვევის, საგდები წყლის სითბოდა ა. შ.) მაქსიმალურ გამოყენებას და არა მარტო ისეთ დიდ საწარმოებში, როგორიც არის, მაგალითად, რუსთავის ქიმიური და მეტალურგიული ქარხნები, არამედ თბილისის სამრეწველო და კომუნალურ საწარმოებშიც.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა და ძირეულად უნდა შეიცვალოს მისდამი სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების დამოკიდებულება. უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის ღონისძიებათა კომპლექსი. ჩვენ გვაკვს მეორეული ენერგორესურსების გამოყენების რესპუბლიკური კომისია, რომელსაც მეთაურობს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ი. გ. გვერდწითელი. ამ კომისიამ უნდა გააქტიუროს საქმიანობა, რათა მაქსიმალურად მოაქციოს მეორეული ენერგორესურსები რესპუბლიკის სათბობ ბალანსში, დაიჩქაროს მათი გამოყენების ტექნოლოგიური სქემის შემუშავება, უწინარეს ყოვლისა, თბილისში. ჩვენ ველით პრაქტიკულ რეკომენდაციებს ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისაგან.

გამოანგარიშებულია: თბოენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება საშუალებას მოგვცემს შევამციროთ მათი ხარჯვა მთლიანად რესპუბლიკაში 5-8 პროცენტით, რაც მარტო თბილისში წელიწადში დაახლოებით 100-120 ათას ტონა დეფიციტურ სათბობს დაგვიზოგავს.

უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს საქალაქო ტრანსპორტის პრობლემის გადასაჭრელად. ამისათვის საჭიროა აგრეთვე ხანგრძლივი კომპლექსური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მოძრავი შემადგენლობის ექსპლოატაციის წესების შესრულებას, მის მაღალ ტექნიკურ მზაობას, მოძრაობის გრაფიკების დაცვას, ავტოსატრანსპორტო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მძღოლთა შემადგენლობის კადრებთან აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ქალაქის ხელისუფლებმა შეიმუშავეს ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის განვითარება-სრულყოფის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ძირითადად გადავჭრათ ეს პრობლემა. მომავალი წლის დამდეგს მწყობრში ჩადგება მართვის ავტომატიზებული სისტემის პირველი რიგი, რომლის დახმარებითაც განხორციელდება თბილისში მგზავრთა გადაყვანის ოპერატიული მართვა. ეს დიდი საქმეა.

ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის ხვალინდელი დღე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მალე ამოქმედდება თბილისის კომპლექსური სატრანსპორტო სქემა, რომელიც შეიცავს ახალ ავტომაგისტრალებს, სანაპიროებს დიღმის საცხოვრებელი მასივის ზემოთ და ავტოსადგურის რაიონში, ქალაქ რუსთავის მიმართულებით.

1981 წლიდან საავტომობილო გზების სამინისტრო დაიწყებს თბილისის შემოსავლელი ავტოსაგზაო მაგისტრალის მშენებლობას, რომლითაც იმოძრავებს სატვირთო ტრანსპორტი. ეს ბევრად განტვირთავს ქალაქს. დაიწყება ავქალის გზატაცილის „დუბლიორის“ მშენებლობა. თბილისს დაამშვენებს ახალი ქუჩები და მოედნები, მათ შორის რესპუბლიკის დედაქალაქის მთავარი მოედანი, რუსთაველის მოედანი, პარადებისა და დემონსტრაციების მოედანი. ამ მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი ძალიან საინტერესოა, გირჩევთ გაეცნოთ მას. რაკი პროექტი არის, მოედანიც იქნება. ახალი რკინიგზის ვაგზლის აშენებასთან ერთად განხორციელდება ვაგზლის მოედნის რეკონსტრუქციაც.

თბილისში სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრაში ბევრად დაგვეხმარება სამგზავრო საბაგირო ტრანსპორტის შემდგომი განვითარება, რომლის დაპროექტება და მშენებლობა გათვალისწინებულია რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა მიკრორაიონში.

და, ბოლოს, შევეხები ჩვენს მეტროპოლიტენს, რომელსაც მოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ მგზავრთა გადაყვანის მიხედვით მესამე ადგილი უკავია ქვეყანაში. მეტრო თბილისისათვის უკვე გახდა წამყვანი სახეობის საქალაქო ტრანსპორტი, იგი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ამას სტატისტიკაც ადასტურებს. თუ 1966 წელს — თბილისის მეტროპოლიტენის ამოქმედების წელს გადაყვანილი იყო 21,5 მილიონი კაცი, ეს კი ყველა სახეობის საქალაქო ტრანსპორტის მიერ გადაყვანილ მგზავრთა სულრთო რაოდენობის 7,2 პროცენტს შეადგენდა, 1980 წელს მეტროპოლიტენით ისარგებლა 141,5 მილიონმა მგზავრმა, ანუ მგზავრთა მთელი ნაკადის თითქმის მესამედმა.

იმაზე, თუ რამდენად იზრდება კაპიტალდაბანდება მეტროპოლიტენის შემდგომი განვითარებისათვის, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ მისი მშენებლობის დაწყებიდან (ეს კი თითქმის 30 წლის წინათ იყო) იგი 160 მილიონ მანეთს შეადგენდა. მეთერთმეტე ხუთწლედისათვის კი დაგეგმილია 50 მილიონი მანეთის გამოყოფა. მაგრამ ესეც არ იქნება საკმარისი. მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად უნდა დასვას საკითხი საკავშირო ორგანოების წინაშე, გამოავლინოს იმის შესაძლებლობანი, რომ გაიზარდოს ასიგნებანი ახალ ხუთწლედში თბილისის მეტროს მესამე რიგის ამოქმედების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც თბილისგვირაბმშენმა კაპიტალდაბანდებათა ყოველწლიური ათვისება 16-17 მილიონ მანეთამდე უნდა გაადიდოს.

დასახული კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი სრულყოფის ვრცელი პროგრამა. ამ დარგში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც საკმაოდ დაფარილებით შევეხეთ წინა პარტიულ კონფერენციაზე, და დღესაც ამის შესახებ, საკმაოდ მწვავედ და არცთუ უირონიოდ ილაპარაკა ამხ. ჯ. ა. ჩარკვიანმა.

მეთერთმეტე ხუთწლედში დასახულია თბილისში ავტომატური საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის დანერგვის სამუშაოები, რაც ყოველ აბონენტს საშუალებას მისცემს თავისი ტელეფონის ნომრის აუკრეფავად დაუკავშიროს ქვეყნის ბევრ ქალაქს და რესპუბლიკის რაიონების თითქმის 80 პროცენტს.

ახლა მიწის ნაკვეთები გამოიყოფა ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობისათვის კალინინის, ოქტომბრის, ორჯონიკიძისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებში. მოსაწონია თბილისის საქალაქო აღმასკომის გადაწყვეტილება, რომ საკუთარი ძალებით ააგოს შენობები ავტომატური სატელეფონო სადგურებისათვის. ეს კარგი თაოსნობაა, იგი დაგვეხმარება შევამციროთ განსხვავება სატელეფონო კავშირზე მოთხოვნასა და ტექნიკურ შესაძლებლობებს შორის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თბილისს ყოველ 100 მცხოვრებზე სატელეფონო აპარატების სიმჭიდროვის მიხედვით ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება გავადიდოთ საქალაქო სატელეფონო ქსელის ტევადობა და მეთერთმეტე ხუთწლედში 220-240 ათას ნომრამდე გაეზარდოთ იგი.

უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ ქალაქში ბევრი რამ გაკეთდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დასახულია სასურსათო და არასასურსათო საქონლით ქალაქის მოსახლეობის მომარაგების ვრცელი პროგრამა. მუშავდება ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის მომსახურების კულტურისა და ხარისხის ამაღლების ღონისძიებანი. მწყობრში ჩადგება ახალი უნივერმაღი „ბავშვთა სამყარო“, სასკოლო კვების მძლავრი კომბინატი, ოთხი სავაჭრო ცენტრი ახალ საცხოვრებელ მასივებში, ასობით მაღაზია და საზოგადოებრივი კვების საწარმო. ქალაქში დაიწყება ახალი სავაჭრო-კულტურული ცენტრის მშენებლობა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მოთხოვნებს თანამედროვე დიდი საცალო საწარმოებისადმი.

შესრულებულია თბილისში საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ზრდის მეათე ხუთწლედის დავალებანი. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ნელა იზრდება სასადილოების ქსელი და ადგილების რაოდენობა. ჯერჯერობით ვერ მოვაგვარეთ სათანადოდ სამრეწველო საწარმოების, უმაღლესი სასწავლებლების, საერთო საცხოვრებლების სასადილოების, სასკოლო ბუფეტების მუშაობა.

მეთერთმეტე ხუთწლედში 1,3-ჯერ ანუ დაახლოებით 15 მილიონი მანეთით გაიზრდება თბილისში საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა. 10,5 მილიონი მანეთი გამოიყოფა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. მწყობრში ჩადგება ისეთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის საზეიმო მოვლენათა სასახლე, 130 სამუშაოადგილიანი საყოფაცხოვრებო სახლი ვარკეთილის მასივის ახალ მიკრორაიონში, 280-ადგილიანი საყოფაცხოვრებო სახლი საბურთალოს რაიონში, ათობით ახალი ატელიე, სალეესნოო, მომღები პუნქტი და სხვა ობიექტი. გაიხსნება ავტოტექნიკური მომსახურების ახალი სადგურები და ა. შ.

თბილისი თანამედროვე ხერვისის დონისა და კულტურის მიხედვით ქვეყნის ერთ-ერთი სანიმუშო ქალაქი უნდა გახდეს.

ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მართვასთან დაკავშირებულ ამოცანათა ზრდის გამო მიღებულია გადაწყვეტილება, შემოვიღოთ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ახალი თანამდებობა თბილისის ცხრავე რაიონში. ვფიქრობთ, რომ ეს ღონისძიება გარკვეულწილად გაუმჯობესებს ამ მუშაობას.

ეკონომიკის დარგში მუშაობის ცენტრში პარტიამ, როგორც ცნობილია, დააყენა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი უნდა გახდეს სასურსათო პროგრამა, რომელიც ახლა მუშავდება და რომელმაც უნდა გააერთიანოს სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე დარგების განვითარების საკითხები.

სურსათ-სანოვაგით რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობის მთელი წლის მანძილზე შეუფერხებელი მომარაგების მიზნით, ჯერ კიდევ 1975 წელს შეექმნით სპეციალური სამსახური — რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, რომლის მოვალეობაში შედის სრული ტექნოლოგიური ციკლი: ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება, გადამუშავება, შენახვა; ტრანსპორტირება და რეალიზაცია, უწინარეს ყოველისა, ქალაქ თბილისის მოსახლეობისათვის.

სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგების დიდ მნიშვნელობას მოწმობს ისიც, რომ შეიქმნა სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო. ასეთივე სამინისტრო უთუოდ უნდა შეექმნათ ჩვენშიც, საქართველოშიც.

ახლა უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ მიზანშეწონილი და სწორია თავის დროზე მიღებული გადაწყვეტილება აგრარულ-სავაჭრო-სამრეწველო გაერთიანების შექმნის შესახებ, რომელიც დიდსა და სასარგებლო მუშაობას ეწევა. მართვის ამ ახალმა მაღალეფექტიანმა ფორმამ საშუალება მოგვცა შედარებით მოკლე დროში ძირითადად გადაგვეჭრა საქართველოს სამრეწველო ცენტრებისა და კურორტების ბოსტნეულითა და ხილით მომარაგების ბევრი საჭირბოროტო პრობლემა.

წინა ხუთწლედთან შედარებით მეათე ხუთწლედში რესპუბლიკაში ერთიორად გაიზარდა საადრეო კარტოფილის წარმოება, ბევრად გადიდდა ბოსტნეულისა და ხილის წარმოება. ამის მეოხებით თბილისში გაიზარდა: კარტოფილის რეალიზაცია — 89 პროცენტით, ბოსტნეულისა — 59, ხილისა — 33, ბაღჩეულისა — 26 პროცენტით.

პრაქტიკულად ქალაქში თითქმის მთელი წლის მამძილზე იყიდება ხილი, კარტოფილი და ძირითად სახეობათა ბოსტნეული. ეს უთუოდ სოფლის მშრომელთა, ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დიდი მუშაობის შედეგია.

ამასთან უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაპყროთ ამ პროდუქციის რაოდენობის გადიდებას და განსაკუთრებით მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის თბილისის მოსახლეობა წელიწადში მიიღებს დაახლოებით 196-200 ათას ტონა კარტოფილს, 240-250 ათას ტონა ბოსტნეულს, 68-70 ათას ტონა ხილს, 27-30 ათას ტონა ბაღჩეულს. ეს ნიშნავს, რომ მეათე ხუთწლედთან შედარებით 26-30 პროცენტით მეტი პროდუქცია იქნება რეალიზებული.

ხორცეულდება ქალაქის მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ჩვენ ვიცით, რომ ამ დარგშიც ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. 1985 წლისათვის დასახულია ხორცისა და მისი პროდუქტების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გაიზარდოს წელიწადში 55 კილოგრამამდე, რძისა და მისი პროდუქტებისა — 420 კილოგრამამდე.

ამასთან სასურსაათო პროგრამის შექმნაში, კერძოდ, ხორცის, მათ შორის, ღორის ხორცის წარმოებაში განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა ქალაქებმაც, უწინარეს ყოვლისა თბილისმა. ეს მუშაობა ჩვენში წარმოებს და იგი ყოველნაირად უნდა გავაქტიუროთ.

განსაკუთრებით ფართოდ უნდა განვითარდეს დამხმარე მეურნეობები საწარმოებსა და დაწესებულებებში. ეს სამე უკეთ უნდა მოვაწყოთ: მეურნეობები უნდა უზრუნველვყოთ ინვენტარით, სატრანსპორტო საშუალებებით, გამოვუყოთ მათ შესაბამისი მიწის ნაკვეთები და კომბინირებული საკვები.

ამასთან ერთად უნდა გავაფართოოთ კოლექტიური მებაღეობა. ამ საქმეში დღესდღეობით ქალაქში ჩაბმულია სულ 26 ათასი კაცი, რომლებსაც გამოეყოთ 1.900 ჰექტარი მიწის ნაკვეთები. აქედან ითვისებენ მხოლოდ 600 ჰექტარს. ჯერჯერობით საკმარისი არ არის, რაც გაკეთდა. უსწრაფესად უნდა შეექმნათ სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაცია, დავგეგმოთ მას სახლების მშენებლობა კოლექტიური მებაღეობის მონაწილეთათვის.

ამ საქმეშიც საჭიროა ახლებური მიდგომა, ახლებური გადაწყვეტანი, ბუნებრივია, ყველას უნდა საუკეთესო ნაკვეთის მიღება, ყოველი თბილისელი ითხოვს საკუთრორტო ზონაში გამოუყონ მიწა. მაგრამ, როგორც იცით, ეს ზონა არც ისე დიდია და ყველას ვერ დაკმაყოფილებს. მსურველი კი ბევრია. ამიტომაც იჩენს თავს უკმაყოფილება, აქოდა, უკეთესი ადგილები რად არ მოგვცესო. ალბათ, ძნელი იქნება ყველას ამო. როგორც ცნობილია, მიწით არცთუ ისე მდიდრები ვართ, მისი რესურსები შეზღუდულია, შეიძლება ითქვას, ყოველი გოჯი აღნუსხული გვაქვს. თანაც, როგორც შესაბამისი დირექტივებით არის გათვალისწინებული, კოლექტიური მებაღეობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები არსებითად ის ნაკვეთებია, რომლებიც საზოგადოებრივი მიწათმოქმედებისათვის არ გამოდგება.

ამიტომ სხვა გზებიც უნდა ვეძებოთ. მახსოვს, ჯუმბერ პატიაშვილი გვთავაზობდა სამრეწველო საწარმოთა დამხმარე მეურნეობების განვითარებისათვის გამოგვეყენებინა ოდესღაც მიტოვებული სოფლები. ასეთი სოფელი კი ჩვენს რესპუბლიკაში ათობით და ასობითაა. ყველას გვახსოვს, როგორ ასახლებდნენ ადამიანებს მამაპაპეული ადგილებიდან. ეს სხვადასხვა მიზეზის გამო, სხვადასხვა მოსაზრებით კეთდებოდა, უმთავრესად კი იმიტომ, რომ საჭირო იყო კოლმეურნეებისათვის საუკეთესო, უფრო ნაყოფიერი მიწების გამოყოფა. ამის შედეგად დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში, კახეთში, ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, და, კაცმა რომ თქვას, თბილისის მიდამოებშიც, ბევრი ნასოფლარი გაჩნდა. მაგრამ იქ დარჩა დასაშენებლად ვარგისი მიწის ნაკვეთები, არის იქ წყალიც, სხვა რამეც შემორჩა. და ყოველივე ეს, მართლაც, შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ არა მარტო დამხმარე მეურნეობების განვითარებისათვის, არამედ, შესაძლოა, კოლექტიური მებაღეობისთვისაც. უნდა ვიფიქროთ, გამორიცხული არ არის, რომ ამის მეშვეობითაც შევძლებთ მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მისი მოცულობა.

სავსებით რეალურად გვეჩვენება სხვა გზაც. იყო დრო, როცა იმათ, ვინც მშობლიური სოფლიდან, ვთქვათ, თბილისში გადმოვიდა, დაწინაურდა აქ სამუშაოზე, ან, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, გახდა, ვთქვათ, სპეციალისტი, მეცნიერი, ან საზოგადო მოღვაწე, დაოჯახდა აქ, — ასეთებს სოფლად მამაპაპისეულ სახლ-კარს ართმევდნენ, უკრძალავდნენ ერთი მტკაველი მიწის დამუშავებასაც კი. ალბათ, ეს სწორი არ იყო. არ ვიცი, საჭირო იყო თუ არა ასე მოქცევა. ვფიქრობ, რომ, თუ ადამიანებს მივცემთ ასეთ შესაძლებლობას, კერძომესაკუთრულ ტენდენციათა არავითარი აღორძინება არ მოხდება, სარგებლობა კი უთუოა.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, სადაც არცთუ ისე დიდია მანძილი დასახლებულ პუნქტებს შორის, ქალაქის მცხოვრებს თავისუფალ დროს, უქმე და სადღესასწაულო დღეებში არ გაუძნელდება თავის სოფელში გამგზავრება, საკარმიდამო ნაკვეთში მუშაობა, რითაც შეძლებს თავისი ოჯახის უზრუნველყოფას ზოგიერთი კვების პროდუქტით.

ამ საქმეში არის მეორე, მორალური მხარეც. ეს არის ის, რომ სამშობლოს სიყვარულს, როგორც ცნობილია, იმ კერის სიყვარული წარმოშობს, სადაც დაბადე, იმ სოფლისა, სადაც ბავშვობა გაგიტარებია, იმ ხისა, რომელიც დაგრგვეს, და ამ ადამიანს მოაკლო ბუნებასთან, მშობლიურ ადგილებთან ურთიერთობის სიხარული. ეს ხომ ფრიად მნიშვნელოვანია ყველასათვის! და თითოეულს ესაჭიროება კიდევ და კიდევ, თუნდაც ცოტა ხანს დაჰყოს მშობლიურ სახლში, ისუნთქოს თავისი ბავშვობის ჰაერით, დაეწაფოს ცივ წყაროს, ჩამოჯდეს მის მიერ დარგული ხის ძირას, დაბაროს მისი მასაზრდოებელი მიწა.

ალბათ, არ არის საჭირო იმ ფესვების ამოძირკვა, რომლებიც ადამიანს ამ მიწასთან აკავშირებს. ასე არ არის?

მთავარი კი სურსათის რესურსების შევსებაა. სასურსათო პროგრამა ხომ აბსტრაქტული კი არა, სავსებით კონკრეტული ცნებაა. იგი უწინარეს ყოვლისა შედგება საზოგადოებრივი მეურნეობისაგან, რომლის პროდუქცია იქმნება ჩვენი კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტების შრომით. მის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი კვების მრეწველობის მუშაკებს.

ამასთან ერთად სასურსათო პროგრამა ეს არის კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებიც და საწარმოთა დამხმარე მეურნეობებიც, კოლექტიური მებაღეობაც და მებოსტნეობაც. ეს, საბოლოო ანგარიშით, არის კეთილსინდისიერი, დაინტერესებული შრომა ყოველი ადამიანისა, რომელიც მუყაითად ამუშავებს მიწას, იწევს მოსავალს. ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა სასურსათო პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში. **ასეთი პროგრამის განვითარება საყოველთაო-სახალხო ამოცანაა, როგორც ჩანს, არა მარტო იმიტომ, რომ მისი გადაწყვეტა მიზნად ისახავს მთელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, არამედ იმიტომაც, რომ თვით ხალხი მონაწილეობს მის გადაწყვეტაში.**

რა თქმა უნდა, სასურსათო პროგრამის ძირითადი, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი რგოლი, მისი ღერძია საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ამ პროგრამის ყველა დანარჩენი შემადგენელი ნაწილი კი, რომლებზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, მხოლოდ უნდა ავსებდნენ მას — არა უმეტეს.

რამდენიმე სიტყვა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობის შესახებ. თქმა არ უნდა, ბოლო ხანს შესამჩნევად განმტკიცდა მათი მატერიალური ბაზა. საექსპლოატაციოდ გადაეცა პოლიკლინიკა გლდანში და ქალაქის პირველი საავადმყოფოს უროლოგიური კორპუსი. აქვე შენდება კიდევ ერთი კორპუსი. მიმდინარეობს ფსიქიატრიული საავადმყოფოს, სამშობიარო სახლისა და კიდევ ერთი პოლიკლინიკის მშენებლობა გლდანში, შენდება 600-საწოლიანი ბავშვთა საავადმყოფო.

კიდევ უფრო ვითარდება სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება. ქალაქში შეიქმნა სარეაბილიტაციო ცენტრი, ქვეყანაში პირველი ანტისეპტიკური ცენტრი, გაიხსნა ბავშვთა სარეაბილიტაციო და დაწვრობის ცენტრები, მწყობრში ჩადგა რესპუბლიკური ფთვალსაზრისი და ა. შ. თბილისში შეიქმნა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-სასწავლო-სამკურნალო ცენტრი, რომელიც ახალ ხუთწლედში უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ბაზით. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროო მინისტრთა საბჭოსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დახმარებით ახორციელებს ღონისძიებებს თბილისში თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილი დიაგნოსტიკური ცენტრის შესაქმნელად. ყოველივე ეს ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია.

ჩვენ ვიცით, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები დიდად ირჯებიან საიმისოდ, რომ გაზარდონ ექიმებისა და მთელი სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის, გაძლიერონ ბრძოლა ნაკლოვანებების, ჯერ კიდევ არსებული ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ამგვარ ფაქტებს კი უკომპრომისოდ უნდა ვებრძოლოთ, რადგან საექიმო პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ავადმყოფებისადმი უსულგულო, დაუდევარი, ზოგჯერ კი არაკომპეტენტური მიდგომის, საექიმო ეთიკის დარღვევის შემთხვევები.

ჩვენ ვითხოვთ ძალზე სერიოზული ყურადღება დაეთმოს პოლიკლინიკური მომსახურების გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, ბევრი პოლიკლინიკა განლაგებულია მათთვის ნაკლებ გამოსადეგ შენობებში, არა აქვთ საკმარი სამედიცინო აპარატურა, სადიაგნოზო ტექნიკა. არადა, ქალაქის ყოველი მცხოვრები წელიწადში საშუალოდ 10-ჯერ მომართავს ხოლმე პოლიკლინიკას. ახალი მიკრორაიონების დაგეგმარებისა და ძველი მიკრორაიონების რეკონსტრუქციისას უნდა გავითვალისწინოთ მოზრდილთა და ბავშვთა პოლიკლინიკების, ქალთა კონსულტაციების, აფთიაქების მშენებლობა. ძირეულად გასაუმჯობესებელია სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური, უნდა განხორციელდეს გადამჭრელი ღონისძიებანი ავტორანსპორტით, კვალიფიციური კადრებით მისი უზრუნველყოფისათვის.

ახლა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ამუშავებს თბილისის სამედიცინო დაწესებულებათა დისლოკაციის სქემას. იგი გულდასმით უნდა განვიხილოთ, რათა შემდეგ საფუძვლად დაეუდოთ მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებში ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის ქსელის განვითარებას. **თბილისი ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მხრივ საეტალონო ქალაქი უნდა გახდეს არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაშიც.** საამისოდ ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა, ყველა პირობა: გვყავს საეციალისტთა შესანიშნავი კადრები, მოგვეპოვება საუკეთო სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებანი, კარგი მატერიალური ბაზა.

უფრო ეფექტიანი ღონისძიებან

ავამაღლოთ თბილისის კომუნისტთა ავანგარდული როლი!

(დასასრული)

...ათ-უწყებაში ამდენი უწესრიგობაა. ისიც კი ითქვა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს უნდა ...ეცეს უფლება ამოწეროს ქალაქიდან რესპუბლიკური მასშტაბის ის ხელმძღვანელები, რომლებიც ესოდენ ცუდად ზრუნავენ დედაქალაქისათვის. უნდა ითქვას, რომ ორი წლის მანძილზე არც ამხ. გაბუნიას, არც სხვა ხელმძღვანელ შუშაკებს არც ერთხელ არ დაუენებიათ თბილისიდან ვისიმე ამოწერის საჭიროების საკითხი. ჩანს, ვითარება გამოსწორდა, სამწუხაროდ. ჩვენ თვითონაც ვგრძნობთ ამას.

ახლანდელი კონფერენციისათვის მზადების პერიოდში ჩვენ ზოგიერთ მინისტრს ვთხოვეთ პასუხი გაეცა ერთ კითხვაზე: **რის გაკეთებას აპირებენ თბილისისა...ის მეთერთმეტე ხუთწლედში მათდამი დაკვეთილებიერებული სამინისტროები?** ამის თაობაზე თავისი მოსაზრებანი გაგვიზიარა საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარემაც. მე ყურადღებით გავეცანი ყველა ამ მასალას და უნდა ვთქვა, რომ ყველა ამხანაგი, მინისტრები, საელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები კონფერენციაზე კარგი ჩანაფიქრებით, კარგი გეგმებით მოვდიოდნენ. ახლა საქმე ის არის, რომ ეს გეგმები მთლიანად განორციელდეს, რეალურ, პრაქტიკულ საქმეებად იქცეს. ესე იგი, კვლავ დაწყებულის დაბოლოების უნარს მიკადეთ.

ვფიქრობ, ამხანაგები სწორად იქცევიან, როცა თავიანთ საერთო-რესპუბლიკურ გეგმებსა და მონასახეებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ ჩვენს დედაქალაქს. ეს ისეც უნდა იყოს. **თუ გვინდა მივაღწიოთ სრულიზულ გარდაქმნას მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, მაშინ, უწინარეს ყოვლისა, ეს უნდა გავაკეთოთ მის დედაქალაქში, შევქმნათ ამ ნამდვილად სანიმუშო სამსახურები — ტრანსპორტის სანიმუშო სამსახური, წყალმომარაგების სანიმუშო სამსახური, თბომომარაგების სანიმუშო სამსახური, ვაჭრობის სანიმუშო სამსახური, ჯანმრთელობის დაცვის სანიმუშო სამსახური** და ა. შ.

რესპუბლიკის ყველა სამინისტრო, ყველა უწყება, მინისტრთა საბჭო, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — **ყველა ხელმძღვანელი ორგანო უნდა განიმსჭვალოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით დედაქალაქისათვის. ჩვენ ყველამ პირი უნდა ვჭქნათ ქალაქის პრობლემების, საქალაქო მეურნეობის პრობლემებისაკენ, ჩვენი დედაქალაქის პრობლემებისაკენ, ამასთან არ დავივიწყოთ, რა თქმა უნდა, სხვა რეგიონები, ყურადღება არ მოვაკლოთ მათ.**

თბილისი რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ცენტრია.

ჩვენს დედაქალაქს განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის მის ინტელექტუალურ ცხოვრებაში. აქ თავმოყრილია ჩვენი ძირითადი სამეცნიერო ძალები, აქ არის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, მისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების უდიდესი ნაწილი, უმაღლეს სასწავლებელთა დიდი უმრავლესობა.

დღეს მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენი მეცნიერნი კვლავაც მთელ მეცადინეობას მოახმარენ უაქტუალურეს მეცნიერულ პრობლემათა გადაჭრას, კიდევ უფრო განამტკიცებენ მეცნიერების კავშირს წარმოებასთან, უფრო მტკიცედ მოაკედებენ ხელს სახალხო-სამეურნეო პრობლემებს, მათ შორის თბილისის საქალაქო პრობლემებს.

თბილისი რესპუბლიკის კულტურული ცენტრია. აქ თავმოყრილია ჩვენი ძირითადი სულიერი სიმდიდრე: თეატრები, მუზეუმები, წიგნსაცავები, ხელოვნების საგანძურები, არქიტექტურული ძეგლები. აქ ფუნქციონირებენ შემოქმედებითი კავშირები, კულტურული საზოგადოებანი, რომლებიც იერთიანებენ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, არქიტექტორებს, თეატრისა და კინოს მოღვაწეებს, ჟურნალისტებს. ყველაზე კეთილი, გულთადი სიტყვებით გვნდა მივმართოთ ჩვენს სახელოვან სახალხო ინტელიგენციას. ჩვენს გმირ მუშათა კლასთან, ჩვენს შესანიშნავ კოლმეურნე გლეხობასთან ერთად როგორ გვამკობს და გვამდიდრებს იგი! რა კარგად, რა საუცხოოდ გამოვიდნენ აქ თენგიზ აბულაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ბეგრნი სხვანი. რა საინტერესო, რა ღრმა აზრები გაგვიზიარეს. ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი ინტელიგენცია ესოდენ მაღალი ინტელექტის ინტელიგენციაა, დიდად ერუდირებული, სულიერად მდიდარი, ნამდვილად კომუნისტური ინტელიგენციაა.

დიდ კმაყოფილებას იწვევს ის, რომ მეათე ხუთწლედი ჩვენთვის იყო არა მარტო რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების ხუთწლედი, არამედ აგრეთვე ჩვენი ხალხის სულიერი ინტელექტუალური ზრდის ხუთწლედი, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებების ხუთწლედი, ხუთწლედი ჩვენი ეროვნული და ამავე დროს ღრმად ინტერნაციონალური ხელოვნების საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცებისა, რომლის მოქალაქეობრიობაც სულ უფრო მატულობს.

დღეს ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ კიდევ უფრო გაიზრდება თბილისის მხატვრული შემოქმედებითი ინტელიგენციის როლი მთელი რესპუბლიკის კულტურული ინტელექტუალური პოტენციალის ზრდაში, კულტურულ ღირებულებებთან ხალხის სულ უფრო ფართო მასების ზიარებაში.

თბილისი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია. აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ერის შვილები, ცხოვრობენ ერთიანან, შეუმატებელებულ ოჯახად, ერთად, ხელიხელჩაკიდებულნი, მხარდამხარ შრომობენ, სწავლობენ, ამშვენებენ თავიანთ ქალაქს, აშენებენ ახალ ცხოვრებას, და შემთხვევითი როდია, რომ სახალხო დღესასწაულს, რომელშიც შერწყმულია ეს ყოველივე, „თბილისობა“ ქვია. ისევე როგორც შემთხვევითი არ არის, რომ თბილისში გაიხსნა ჩვენს ქვეყანაში პირველი ხალხთა მეგობრობის მუზეუმი.

როგორც ჩაწერილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, როგორც ეს მოითხოვა ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ, ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ახლა უფრო ინიციატივიანად და ფართოდ მუშაობს მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის. და ეს ასახავს იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საერთო, საკმაოდ მაღალ დონეს რესპუბლიკის დედაქალაქში.

ამხანაგებო!

როცა ნათქვამს ვაჯამებთ, კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ **პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი მისი ხელმძღვანელობის დონე ახლა კიდევ უფრო მეტად შეესაბამება XXV ყრილობის მოთხოვნებსა და იმ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა მართებთ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას.**

ყველანი ვხედავთ, როგორ იქცევა უფრო და უფრო პარტიული მუშაობის მოწინავე გამოცდილების ლაბორატორიად რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტური ორგანიზაცია. ამაში კვლავ დავრწმუნდით თბილისის დღევანდელ საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც, ისევე როგორც მის გამართვამდე მოწყობილი რაიონული პარტიული კონფერენციები, გამოირჩეოდა გულმოდგინე მომზადებითა და ღრმა გაანალიზებით, ძალზე საინტერესო გამოვიდა ფორმისა და შინაარსის მხრივ.

ყურადღებას იპყრობს კონფერენციის დაწყებამდე გაწეული სექციური მუშაობა. ამას პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. აქ ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. იმასაც, რომ საქალაქო კომიტეტმა წინასწარ დაუგზავნა პარტიულ ორგანიზაციებს ინფორმაცია წინა კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ქალაქის კომიტეტის საქმიანობის შესახებ. იმასაც, რომ ამის შემდეგ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომებში მოეწყო შეხვედრები პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ აქტივთან. თვით სექციების მუშაობასაც ძირითადი პარტიულ-პოლიტიკური პრობლემების მიხედვით, რომელშიც ჩაბმული იყო კონფერენციის დელეგატთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი. როგორც ამხ. თ. ნ. მენთეშაშილმა მოგახსენათ, თავისი მოსაზრებები, წინადადებები და შენიშვნები გამოთქვა 100-ზე მეტმა დელეგატმა.

ასეთი ფორმა, ასეთი მიდგომა დაგვეხმარა უფრო ღრმად გაგვაანალიზებინა ქალაქის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, უფრო სოლიდურ საფუძველზე შეგვემუშავებინა სამომავლო პრაქტიკული ღონისძიებანი. ყოველივე ეს აისახა კონფერენციაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში და, როგორც დავრწმუნდით კამათის დროს, დელეგატების გამოსვლებშიც.

საქალაქო პარტიული კონფერენციის წინ კომუნისტების კოლექტიური აზრის შესწავლასა და განზოგადებას ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ასეთი ფორმა შესაძლებელს ხდის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის კომუნისტთა ფართო წრის ჩაბმას, ყოველი დელეგატის პასუხისმგებლობის ამაღლებას. კონფერენციაზე არ უნდა იყვნენ გულგრილები, არ უნდა იყვნენ გარეშე მაყურებლები.

რაიონული, საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატი, და განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, პარტიის ყრილობის დელეგატი თავისი პარტორგანიზაციის უაქტიურესი კომუნისტია. ჩვენს საზოგადოებაში იგი ყველაზე ენერგიულად უნდა მონაწილეობდეს რაიონის, ქალაქის, რესპუბლიკის წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემების მთელი კომპლექსის გადაწყვეტაში, უნდა შეეძლოს ობიექტურად შეაფასოს მიღწეული შედეგები, გამოავლინოს ახალი რეზერვები, შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომელთა რეალიზაცია დაიჩქარებს ნაკლოვანებათა დაძლევის პროცესს, დაგვეხმარება ყურადღება გავამახვილოთ გადასაწყვეტ საკითხებზე.

ყოველივე ეს დელეგატის სამუშაო ფუნქცია, კომუნისტის პარტიული მოვალეობაა. საქმისადმი ასეთი მიდგომას გვასწავლის ვ. ი. ლენინი, რომელიც მოითხოვდა, რომ პარტიის ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობდეს დიდმნიშვნელოვან საკითხებზე ყრილობაზე განსახილველი „მოხსენებებისა და რეზოლუციების გამომუშავებასა და მომზადებაში“, რომელიც ამბობდა, რომ პარტიის ყრილობის ყველა დელეგატს უნდა ჰქონდეს საშუალება ისარგებლოს „იმხანაგთა მასის კოლექტიური გამოცდილებით“.

მაშ მოდით, მივდიოთ ლენინის რჩევას, შეავასრულოთ მისი დანაბარები!

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება უნდა განვაზოგადოთ და გავავრცელოთ რესპუბლიკის მთელ პარტორგანიზაციაში. **და ეს კიდევ ერთხელ გამოხატავს თბილისის კომუნისტების ავანგარდულ როლს.**

ახალი, კიდევ უფრო დიდი ძალით უნდა გამოვლინდეს იგი, ეს ავანგარდული როლი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ XXVI ყრილობის სამზადისის პერიოდში.

დროის მთელი ეს მონაკვეთი აღსავსე იქნება კომუნისტების, მთელი ჩვენი ხალხის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით. მთელმა ამ პერიოდმა უნდა ჩაიაროს მომდინარე სამეურნეო წლის წარმატებული დამთავრების, ახალი, 1981 წლის, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის პირველი დღეებიდანვე რიტმული, შეუფერხებელი მუშაობის ნიშნით. ახალ წელს ჩვენ ვეგებებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის — სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით — ამ უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დოკუმენტით, რომელიც ახლა მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღების ცენტრშია.

ჩვენ ვეგებებით XXVI ყრილობას — უთვალსაჩინოს მოვლენას პარტიის ცხოვრებაში, ხალხის ცხოვრებაში. და პარტიელთა მთელი აზრები, ყველა მშრომელის ფიქრები და მისწრაფებები მიპყრობილია მოსკოვისაკენ, სადაც შეიკრიბება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ფორუმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება. ეს სიტყვები ძვირფასია ყოველი კომუნისტისათვის!

არსებობდეს ხალხისათვის და ემსახურებოდეს ხალხს, ცხოვრობდეს კომუნიზმის ნათელი იდეალების გამარჯვებისათვის — ეს მიაჩნია თავის უმაღლეს მოვალეობად და უზენაეს პრეროგატივად პარტიის ყველა წევრს. ასეთი გრძნობებით, ასეთი აზრებით, მშობლიური ლენინური პარტიის ასეთი სულგრძელობა და მისი იდეების უსაზღვრო ერთგულებით, ...ებია ყველანი XXVI ყრილობას.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ამხანაგო დელეგატებო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების სახელით კიდევ ერთხელ მხურვალედ და გულითადად გადაეუხადო მადლობა ყველა თბილისელ მშრომელს ერთად და თითოეულ თბილისელს ცალ-ცალკე, შეუპოვარი, თავდადებული, ნამდვილად გმირული შრომისათვის მეათე ხუთწლედში, იმ უდიდესი, მართლაც-და, ფასდაუდებელი წვლილისათვის, რომელიც მათ შეეტანეს საბჭოთა საქართველოსა და მისი სახელოვანი დედაქალაქის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

დღეს ჩვენ ვადიდებთ თბილისელ მუშებს, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ თბილისის პროლეტარიატის, თბილისელი ბოლშევიკების უკვდავ რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს. ქებათა ქება ჩვენს შესანიშნავ ინტელიგენციას, რომელსაც ახალ, განუზომლად უფრო მაღალ საფეხურზე აპყავს ჩვენი ხალხის თავისთავადი კულტურა, შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული, თავისი სულისკვეთებითა და ხასიათით ინტერნაციონალისტური კულტურა. ჩვენ ჯერეროვან პატივს მივაგებთ პარტიისა და შრომის ვეტერანებს, საბჭოთა არმიის მეომრებს, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, მადლობას ვუხდით ჩვენს სახელოვან ქალებსა და ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას, ყველას, ვინც თავისი შრომა და თავისი გულისნადები ჩაესწოვა საბჭოთა საქართველოს მიერ თავისი მე-60 წლისთავის წინ მოპოვებული დიდი გამარჯვების მიღწევას.

ეს გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ადამიანმა, **მშრომელმა ადამიანმა.** ადამიანი — ეს ამაყად ჟღერს! და ორგზის უფრო ამაყად ჟღერს — **მშრომელი ადამიანი!** დიდება მას!

ვინაიდან ჩვენ ზედ ახალი წლის წინ შევიკრიბენით, ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ ყველას, თქვენი სახით კი საქართველოს ყველა კომუნისტს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახალი, 1981 წლის დადგომა, გისურვოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, და თქვენს ოჯახებს ახალი სახელოვანი წარმატებანი შრომაში, ახალი შესანიშნავი მიღწევები ცხოვრებაში, ყველა გეგმისა და სურვილის ახდომა! გისურვებთ ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას, სიხარულსა და დიდ ბედნიერებას, ყოველ სიკეთეს.

ყოველივე კარგს გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ყოველივე საუკეთესოს!

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

ნახეთ, ხომ არ მოიგეთ?

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1980 წლის მეთორმეტე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1980 წლის 25 დეკემბერს ქ. თბილისში.

ტირაჟში გათამაშდა 288.000 მანეთის 93 ნივთმოგება და 159.907 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის სერიებისა და ბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
81610	389*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
81619	464*)	მტვერსასრუტი	45—00
81639	040*)	45 მანეთი	—
81641	165*)	ელექტროსამოვარი	21—00
81659	165*)	საცხოვრებელი ოთახის იმპორტული გარნიტური	1625—00
81661	377*)	30 მანეთი	—
81665	135*)	20 მანეთი	—
81675	272*)	30 მანეთი	—
81683	357*)	20 მანეთი	—
81699	026*)	30 მანეთი	—
81715	358*)	30 მანეთი	—
81717	341*)	30 მანეთი	—
81724	481*)	25 მანეთი	—
81742	397*)	20 მანეთი	—
81744	170*)	50 მანეთი	—
81752	366*)	30 მანეთი	—
81756	361*)	20 მანეთი	—
81785	021*)	45 მანეთი	—
81790	409*)	25 მანეთი	—
81798	022*)	30 მანეთი	—
81812	073*)	30 მანეთი	—
81815	175*)	30 მანეთი	—
81816	264*)	50 მანეთი	—
81820	132*)	20 მანეთი	—
81830	286*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
81845	371*)	30 მანეთი	—
81846	077*)	მაცივარი „ზილი“	370—00
81848	266*)	მაგნიტოფონი	220—00
81897	231*)	20 მანეთი	—
81904	076*)	20 მანეთი	—
81914	428*)	ავტომანქანა „ვოლგა-გაზ-24“	15000—00
81921	059*)	20 მანეთი	—
81931	005*)	30 მანეთი	—
81938	042*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	650—00
81940	021*)	30 მანეთი	—
81950	302*)	30 მანეთი	—
81958	342*)	მაგნიტოფონი	220—00
81972	345*)	20 მანეთი	—
81973	163*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
82000	085*)	20 მანეთი	—
82009	479*)	მტვერსასრუტი	45—00
82038	471*)	50 მანეთი	—
82046	419*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
82058	329*)	ელექტროსამოვარი	21—00
82066	227*)	30 მანეთი	—
82068	269*)	25 მანეთი	—
82070	033*)	ელექტროსამოვარი	21—00
82079	320*)	ელექტროსამოვარი	21—00
82086	097)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
82091	096*)	20 მანეთი	—
82096	053*)	30 მანეთი	—
82099	406*)	30 მანეთი	—
82119	342*)	30 მანეთი	—
82127	263*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
82130	484*)	30 მანეთი	—
82132	478*)	45 მანეთი	—
82147	215*)	მტვერსასრუტი	45—00
82153	168*)	20 მანეთი	—
82163	286*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101“	6600—00
82170	069*)	45 მანეთი	—
82171	228*)	20 მანეთი	—
82176	229*)	30 მანეთი	—
82203	034*)	20 მანეთი	—
82214	474*)	20 მანეთი	—
82216	327*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
82233	373*)	45 მანეთი	—
82237	438*)	25 მანეთი	—
82244	329*)	20 მანეთი	—
82267	241*)	მტვერსასრუტი	45—00
82269	253*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
82270	040*)	30 მანეთი	—
82279	122*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
82311	1-500	10 მანეთი	—
82313	042*)	45 მანეთი	—
82322	394*)	50 მანეთი	—
82354	218*)	20 მანეთი	—
82357	339*)	20 მანეთი	—
82377	364*)	45 მანეთი	—
82380	409*)	ელექტროსამოვარი	21—00
82383	084*)	20 მანეთი	—
82385	044*)	მაცივარი „ზილი“	370—00
82394	349*)	30 მანეთი	—
82411	350*)	30 მანეთი	—
82433	093*)	30 მანეთი	—
82443	377*)	50 მანეთი	—
82447	039*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
82459	224*)	ელექტროსამოვარი	21—00
82466	117*)	50 მანეთი	—
82478	029*)	30 მანეთი	—
82482	218*)	45 მანეთი	—
82485	429*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
82489	409*)	30 მანეთი	—
82516	1-500	15 მანეთი	—
82528	337*)	30 მანეთი	—
82533	051*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011“	7300—00
82568	307*)	25 მანეთი	—
82582	196*)	30 მანეთი	—
82584	244*)	30 მანეთი	—
82587	174*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
82588	225*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
82590	185*)	30 მანეთი	—
82596	055*)	მაგნიტოფონი	220—00
82605	326*)	ელექტროსამოვარი	21—00
82609	370*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
82626	212*)	ავტომანქანა „ჟიგული-21011“	7300—00
82637	110*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
82648	049*)	20 მანეთი	—
82651	116*)	30 მანეთი	—
82659	077*)	50 მანეთი	—
82665	394*)	50 მანეთი	—
82672	097*)	30 მანეთი	—
82695	029*)	20 მანეთი	—
82722	282*)	20 მანეთი	—
82724	284*)	30 მანეთი	—
82747	188*)	45 მანეთი	—
82755	052*)	30 მანეთი	—
82768	426*)	ელექტროსამოვარი	21—00
82789	289*)	მაცივარი „ზილი“	370—00
82791	092*)	30 მანეთი	—
82811	384*)	20 მანეთი	—
82824	201*)	1000 მანეთი	—
82835	286*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
82849	235*)	ელექტროსამოვარი	21—00
82863	182*)	30 მანეთი	—
82866	459*)	20 მანეთი	—
82871	280*)	45 მანეთი	—
82888	490*)	მაცივარი „ზილი“	370—00
82893	208*)	30 მანეთი	—
82895	244*)	30 მანეთი	—
82898	462*)	20 მანეთი	—
82899	500*)	25 მანეთი	—
82913	152*)	მაგნიტოფონი	220—00
82920	054*)	30 მანეთი	—
82923	178*)	მაცივარი „ზილი“	370—00
82926	088*)	30 მანეთი	—
82936	468*)	30 მანეთი	—
82941	269*)	50 მანეთი	—
82943	288*)	30 მანეთი	—
82945	084*)	45 მანეთი	—
82952	323*)	20 მანეთი	—
82975	449*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106“	9100—00
82980	252*)	50 მანეთი	—
82985	074*)	30 მანეთი	—
83012	090*)	25 მანეთი	—
83018	398*)	20 მანეთი	—
83033	116*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
83035	384*)	მაცივარი „ზილი“	370—00
83040	190*)	20 მანეთი	—
83044	203*)	25 მანეთი	—
83045	284*)	20 მანეთი	—
83052	417*)	20 მანეთი	—
83057	099*)	30 მანეთი	—
83061	006*)	30 მანეთი	—
83063	1-500	10 მანეთი	—
83079	268*)	30 მანეთი	—
83090	065*)	30 მანეთი	—
83096	041*)	20 მანეთი	—
83101	009*)	20 მანეთი	—
83108	002*)	20 მანეთი	—
83112	127*)	20 მანეთი	—
83120	108*)	45 მანეთი	—
83122	102*)	20 მანეთი	—
83136	429*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
83142	163*)	30 მანეთი	—
83187	395*)	20 მანეთი	—
83197	339*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106“	9100—00
83206	430*)	20 მანეთი	—
83207	074*)	25 მანეთი	—
83240	112*)	20 მანეთი	—
83241	230*)	30 მანეთი	—
83242	164*)	20 მანეთი	—
83245	021*)	20 მანეთი	—
83246	325*)	მაგნიტოფონი	220—00
83257	209*)	20 მანეთი	—
83260	372*)	30 მანეთი	—
83295	345*)	25 მანეთი	—
83300	106*)	20 მანეთი	—
83305	107*)	45 მანეთი	—
83316	301*)	20 მანეთი	—
83317	491*)	30 მანეთი	—
83326	206*)	ელექტროსამოვარი	21—00
83332	198*)	25 მანეთი	—
83354	220*)	45 მანეთი	—
83360	267*)	მაგნიტოფონი	220—00
83373	315*)	25 მანეთი	—
83375	295*)	20 მანეთი	—
83382	185*)	30 მანეთი	—
83409	209*)	კინოაპარატი „ლომო-216“	70—00
83410	277*)	50 მანეთი	—
83417	366*)	20 მანეთი	—
83429	065*)	25 მანეთი	—
83436	355*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
83438	165*)	30 მანეთი	—
83453	304*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
83454	391*)	45 მანეთი	—
83464	479*)	20 მანეთი	—
83475	1-500	15 მანეთი	—
83482	059*)	მტვერსასრუტი	45—00
83484	323*)	20 მანეთი	—
83491	335*)	მაცივარი „ზილი“	370—00
83505	118*)	30 მანეთი	—
83517	023*)	20 მანეთი	—
83524	014*)	20 მანეთი	—
83527	136*)	25 მანეთი	—
83533	491*)	ელექტროსამოვარი	21—00
83541	383*)	30 მანეთი	—
83554	495*)	30 მანეთი	—
83577	407*)	45 მანეთი	—
83582	015*)	მტვერსასრუტი	45—00
83612	339*)	25 მანეთი	—
83618	237*)	ავტომანქანა „ჟიგული-2106“	9100—00
83646	237*)	25 მანეთი	—
83647	468*)	30 მანეთი	—
83660	085*)	მტვერსასრუტი	45—00
83662	322*)	მაგნიტოფონი	220—00
83664	267*)	30 მანეთი	—
83679	301*)	30 მანეთი	—
83683	002*)	20 მანეთი	—
83692	455*)	მაცივარი „ზილი“	370—00
83695	489*)	50 მანეთი	—
83697	185*)	20 მანეთი	—
83719	264*)	30 მანეთი	—
83721	363*)	30 მანეთი	—
83725	296*)	მაგნიტოფონი	220—00
83752	491*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
83754	426*)	30 მანეთი	—
83776	293*)	30 მანეთი	—
83783	256*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
83802	250*)	ხალიჩა 1,5X2,5 მ.	320—00
83819	429*)	მაცივარი „ზილი“	370—00
83855	279*)	50 მანეთი	—
83868	299*)	30 მანეთი	—
83883	454*)	20 მანეთი	—
83891	157*)	20 მანეთი	—
83892	219*)	25 მანეთი	—
83900	224*)	20 მანეთი	—
83904	030*)	მაგნიტოფონი	220—00
83918	216*)	25 მანეთი	—
83924	032*)	50 მანეთი	—
83928	242*)	20 მანეთი	—
83935	103*)	20 მანეთი	—
83957	212*)	20 მანეთი	—
83973	312*)	30 მანეთი	—
83981	237*)	50 მანეთი	—
83994	500*)	50 მანეთი	—
83997	148*)	20 მანეთი	—
83999	190*)	30 მანეთი	—
84013	061*)	20 მანეთი	—
84022	195*)	20 მანეთი	—
84028	221*)	20 მანეთი	—
84064	256*)	20 მანეთი	—
84067	320*)	მაგნიტოფონი	220—00
84077	100*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
84083	028*)	50 მანეთი	—
84107	308*)	50 მანეთი	—
84128	333*)	20 მანეთი	—
84130	223*)	მაცივარი „ზილი“	370—00
84140	078*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა-3“	203—00
84178	072*)	ელექტროსამოვარი	21—00
84184	417*)	30 მანეთი	—
84194	206*)	20 მანეთი	—
84200	046*)	20 მანეთი	—
84217	297*)	30 მანეთი	—
84230	312*)	მაცივარი „ზილი“	370—00
84244	263*)	50 მანეთი	—
84260	075*)	ავტომანქანა „ჟიგული-2101“	6600—00
84285	354*)	20 მანეთი	—
84290	391*)	25 მანეთი	—
84307	112*)	20 მანეთი	—
84322	435*)	25 მანეთი	—
84331	292*)	მტვერსასრუტი	45—00
84338	111*)	საცხოვრებელი ოთახის იმპორტული ავეჯის გარნიტური	1625—00
84344	139*)	25 მანეთი	—
84359	150*)	20 მანეთი	—
84368	169*)	30 მანეთი	—
84376	129*)	45 მანეთი	—
84379	177*)	45 მანეთი	—
84391	447